„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 2 (257) 28 თებერვალი სამშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

ვისთვის ჰეეს ზარი?
საით მიდის ორად გაყოფილი საქართველო?

პატრიარქი გადარჩა - შეტევა სულიერების უკანასკნელ ციტადელზე გრძელდება

რუის-ურბნისის დრო!

მე-2 გვ.

სიცოცხლე, სამშობლო დედით იწყება, იგია ოჯახისა და ქვეყნის ბურჯი!

3 მარტი დედის დღე,
8 მარტი ქალთა დღე

გილოცავთ ძვირფასთ მანდილოსნებმო!

საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

ქალები-ყველაზე თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით...

გენდერული თანასწორობის სურათი დღევანდელ საქართველოში და ქალაქ ფოთში

მე-3 გვ.

ნიკო ნიკოლაძის ვაჟის-გიორგი ნიკოლაძის სპორტული ცხოვრების უცნობი ფურცელი



პაატა ნასვლიშვილი: მართლა საქართველოდან იყო თუ არა 1900 წლის „უცნობი ფრანგი ბიჭუნა"?

ოლიმპიური ისტორიის ჟურნალი, ტომი 24, №3, 2016 წელი, იბეჭდება მცირედი შემოკლებით

მე-4 გვ.

მილოცვა წლები გადიან საშობლოს სამსახურში

ნუგზარ ნადარაიას

26 თებერვალი „ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტის მაცონ ნუგზარ ნადარაიას დაბადების დღეა. გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ფოთის საპატიო მოქალაქე, მოძრაობა ქართველოცოცნეიდელის დამაარსებელი, ღირსეულად ხვდება ამ დღეს,რამეთუ მის სახელთანაა დაკავშირებული მნიშვნელოვანი წარმატებები, პოლიტიკურ და სამეურნეო დარგში, ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში. მისი ინიციატივით წმინდანად შერაცხეს მეფეთ მეფის დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი ქართველიდელი და საქართველოს ზნეობრივი გმირი ცოცნე დადიანი, რომლის მრწყინვალე ძეგლიც მისივე ინიციატივით ფოთში სამეგრელოს მოედანზე დაიდგა. მაცონ ნუგზარს დიდი წვლილი მიუძღვის ნაცარმიყრილი კოლხეთის ისტორიის აღორძინებაში, რაც სახელმწიფოებრიობის დაკარგული ათასწლეულების წარმოჩენას ემსახურება. იგი დღესაც შესაშური ენერგიითა და ენთუზიაზმით გამოირჩევა, ერთგული, ღალატი მეგობარი, დიდებული ოჯახის პატრონი, მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწო საშობლოს კეთილდღეობისათვის, სწორედაც ასეთი ერისკაცები სჭირდება ქვეყანას.

დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ საშობლოს სიყვარულში დაღლილ კაცს, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია, და კვლავაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ეპიცენტრშია.

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ფოთის განყოფილება

ბლიც- ინტერვიუ

ფოთის მეხიის მუნისიპალიტეტში ახალი სამსახური შეიქმნა

ნინო პაჭკორია: „ფოთს-ფაზისს, უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქს, განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს".

მე-2 გვ.

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ფოთის ორგანიზაციაში

გოგიტა ჩიტაია: ფოთში ძველი „ფაზისის" ნაქალაქარის შესახებ დადგა დრო პრაქტიკული კვლევების

მე-7 გვ.

რუსლან რუსიას ხსოვნას

ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი - ცოტნეიდელი, დიდი ერისკაცი- დიდი ჟურნალისტი და მოქალაქე

მე-5 გვ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ფოთის საპატიო მოქალაქე

ჯონდი ერასტოს ძე ჯოჯუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, მწუხარებას გამოთქვამს დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ფოთის საპატიო მოქალაქის

ნადეჟდა ივანეს ასული პაჭარაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ვისთვის ხევს ზარი?

საით მიდის ორად გაყოფილი საქართველო?

პატრიარქი გადარჩა - შეტევა სულიერების უკანასკნელ ციტადელზე გრძელდება

რეის-ეერმნისის დროა!

კარგახანია ქვეყანას არყევს ბრძოლა ღვთიურობასა და უღმერთობას შორის. ყველა უბედურება ეშმაკის მოციქულთაგან მოდის, რომელთათვის მზაკვრულ-მოღალატეებრივი და პირადულის გარდა არ არსებობს სხვა მაღალი ღვთაებრივ-ზნეობრივი ღირებულებები. ეშმაკმა უწყის ახლაც ვის დაკვეთას ასრულებენ ე.წ. ნაციონალები პარტიისა და დემოკრატიის სახელით. მრავალი წელია ცდილობენ მოარყიონ სულიერების უკანასკნელი ციტადელი. არადა ქრისტიანობა და ქართველობა იდენტურია, გენეტიკურია ღვთაებრივი სული, მაღალი აზრი, ალბათ, არავის უყვარს ქრისტე ღმერთი ქართველზე უფრო, ამიტომაც არაა იოლი ბრძოლა ამ მიმართულებით, თუმცა, ამ ბრძოლის გენერალური გეგმაც ქონდათ შემუშავებული ეკლესიის მორალური დისკრედიტაციის ქონებრივ-კორუბციული სქემებით. მაგრამ იყო დიდი ბარიერი: ღვთის კაცი-საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, რომლის სავარაუდო ლიკვიდაციაზე კარგახანია გვაფრთხილებდა პრესა. ხალხიც, თუნდაც ქვეშეცნეულად გრძნობდა ამ ბოროტი ძალების განზრახვას, რომელთაც სამწუხაროდ ეკლესიაშიც შეაღწიეს, რათა ციხე შიგნიდან გაეტეხათ.

ბოლო მოვლენებმა ბევრ რამეს ახადეს ფარდა, გამოჩნდა პოლიტიკოსების, ექსპერტების, სამღვდელოების წარმომადგენელთა ნამდვილი სახე. მათ შორის ,,რუსთავი 2"-ის, რომელმაც ეპოქის სკანდალური მოვლენა-პატრიარქის მკვლელობის მცდელობა თავისებური ინტერპრეტაციით გააშუქა - პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაცია, ეჭვმიტანილის გამართლება, რომ ყველაფერი ივანიშვილის ბრალია, არაფერია გასაკვირი, კიდევ ამ კაცს ფორმალურად თუ არაფორმალურად უკავია ქვეყანა, თუმცა, ეს მართლაც შავი ჭირი, საბოლაოდ ვერ მოაცილა საქართველოს. უბედურება ისაა, რომ ევროპა-ამერიკა მაგათ დემოკრატებს ეძახის და ხალხს არაფერს ეკითხება. ,,ნაცები" კვლავ რჩებიან სერიოზულ შემაფერხებელ ძალად, რომელთაც მხარს უჭერენ უცხოელები, ეტყობათ სხვა დასაყრდენი ვერ ნახეს. ასე რომ ქართველმა ხალხმა უნდა გამოიღვიძოს, ,,ნაცების" აყოლა ,,ოცნების" გინებაში კარგს არაფერს მოგვიტანს, ახალ მთავრობას უჭირს ბრძოლა 2-3 ფრონტზე. ,,ნაცების" ნაავკაცარი კიდევ ბევრჯერ დაგვხვდება წინ და კისერს მოგვატეხინებს, თუ ფრთხილად არ ვიქნებით. განა მთავრობას სიამოვნებს ნაცებთან გარიგებას, რომ აბრალიან, მაგრამ, როგორც კი შეუტევენ, ძველი მეპატრონეები მაშინვე თავს წამოყოფენ თავიანთი მამაძაღლების დასაცავად. რომელთა, როგორც პოლიტიკური პატიმრების, განთავისუფლებას ითხოვენ და აღწევენ კიდეც. როგორ გინდა იცხოვრო, ამ ვითომ თავისუფლების, ვითომ დემოკრატიის, ვითომ პატრიოტიზმის, აპოლოგეტი პოლიტიკოსების და მათ აყოლილი, ხათრით არჩეული ვითომ პრეზიდენტის, ვითომ ათასობით ადამიანის უფლებადამცველების და ა.შ. გარემოში. ამდენად ჩვენ ახლა ფსიქოლოგიურ ომში ვართ, არანაკლებ ომში ვინემ ზარბაზნებით სროლაა.

სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა მოასწრო ბევრი ფასეულობების გადაფასება და გადაგვარება, მოსპო მეცნიერება, ტვინი საქართველოსი. განსაკუთრებით აიყოლიეს ახალგაზრდები-ნიჰილიზმი, წარსულის უპატივცემულობა, გაუაზრებელი სწაფვა ევროპული ცივილიზაციისაკენ, ღირებულებებისაკენ, ერთსქესიანთა ქორწინება,სექსუალური, რელიგიური და ყოველნაირი თავისუფლება, თავისუფლება ზნეობისგან, მორალისგან და ნამდვილი საკაცობრიო ღირებულებებისაგან.აი რა გარემოა ქვეყანაში.რაც მათ დატოვეს მძევალივით, დატოვეს სიღარიბე, რომელიც ანგრევს ადამიანთა ცხოვრებას, თავისუფლებას, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას, არადა ცარიელი ტერიტორიებიც უცხოელებს დარჩებათ. სამართლიანობის აღდგენა, არის ის ქვაკუთხედი, რამაც უნდა შეაჩეროს ძველი რეჟიმის ნარჩენები, რომლებიც აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას. სხვა გამოსავალი ქვეყანას არააქვს.

უნდა დადგინდეს სიმართლე პატრიარქისა და ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. დაისაჯონ მთავარი დამნაშავეები, და არა მარტო შემსრულებლები. ეს უკვე ქვეყნის პრესტიჟს და მის მომავალს განსაზღვრავს და მხოლოდ პროკურატურის იმიჯის საქმე არაა. რომლის ხელმძღვანელის გადაგომასაც ითხოვენ პარლამენტარი ,,ნაცები" და თუ ვერ გაუძლით ამ შემოტევას ეს იქნება ხელისუფლების, ეკლესიის და პროკურატურის საბოლოო მარცხი. მეუფე პეტრემ პატრიარქისა და ეკლესიის დისკრედიტაციისათვის პასუხი უნდა აგოს, ხალხისა და იმ ეკლესიის წინაშე, რომელმაც გაზარდა და ამ სიმაღლეზე აიყვანა, პასუხი უნდა აგონ მისმა წამქეზებელმა. თუ ასე არ მოხდა საბოლაოდ მივიღბთ იმ ქვეყანას, რომელმაც დაკარგა ღმერთი, რწმენა და ღირსება. არადა რწმენა აერთიანებდა საქართველოს, ამიტომაც გადაურჩა ურჯულოებს, ამიტომ უშლის ხელს ეკლესია და პატრიარქი მავანს თავისი მიზნების მიღწევაში, რომელიც აგრძელებს შეტევას სამივე მიმართულებით-,,ენა, მამული, სარწმუნოება". ხალხს კარგად ახსოვს მათი შეტევა ეკლესია მონასტრებზე. მორწმუნე კაცი არ არის იოლი დასაყოლიებელი, ქრისტიანული რელიგია, უძველესი ფილოსოფია და უდიდესი სიბრძნეა თვითმოვლენილი და ჩვენი ორთავეყოფნის - სააქაო და სამარადმჟამოს განმსაზღვრელი.

ეკლესია არ უნდა ერეოდესო პოლიტიკაში, განა მისი მიზანი საღვთო კაცების და მამულიშვილების აღზრდა არაა, სად გაგონილა ცალკე ხალხი, ცალკე ეკლესია, ყველა ერთ საქმეს უნდა ემსახუროს, ქვეყანა ხომ ერთია? განა ასე არ იყო აღმაშენებლის და ჭყონდიდელის დროს - რწმენა იყო მეფეში და - მეფე და მეომარი ეკლესიის წინამძღოლში. როგორ გინდა მოითმინო ამ მემკვიდრეობის ფონზე ამათი ქვენა-აზრები, დემოკრატიის უბედურებაც ესაა, შენმა არჩეულმა დაგაქცია და არ გასვენებს სინანული შეცდომისა, რომელიც შეიძლება არ გამოსწორდეს. აი, როგორი სიფრთხილე გვმართებს, როგორმე გლობალურად, კრიტიკულად შევხედოთ დემოკრატიას და არჩევნებს. რა გამოდის, დემოკრატიამ სააკაშვილის რეჟიმი მოუტანა ხალხს, რომელიც ახლაც არ გვეშვება, უბრალო მოკვდავს ეკლესიასთანაც არ მიუწვდება ხელი, ღმერთსა და კაცთაშორის შუამავალი ავტორიტეტები ისე გაულანძღეს, დაიბნა ხალხი, არ იცის საით წავიდეს.

დიქტატურა დემოკრატიის სახელით უღმერთობა ღვთის სახელით. ვიდაც კორუფციასთან ბრძოლას საწამლავით აპირებს, სანამ იქნება იდუმალებით მოცული მავანთ ჩანაფიქრი. ეს არ იყო მხოლოდ ერთი კაცის მკვლელობის განსაზღვრა, ეს იყო ქვეყნისა და ღვთის მკვლელობის ტოლფასი. ეს იყო ერთმხრივ პატრიარქის ფიზიკური განადგურება, მეორე მხრივ - მორალური მკვლელობა. მეუფე პეტრეს განცხადებები- სავარაუდოდ ნაციონალთა დაკვეთით, რომ ეკლესიას ქალბატონი შორენა მართავს, რომ აქ გამეფებული გაუგონარი კორუფცია, რომ მამა გიორგი უდანაშაულოა- ეს ნამდვილად არ გამოხატავს ღვთისმოსავი კაცის სულისკვეთებას. პარადოქსია, ისიც, რომ ბერლინის ცნობილ კლინიკაში პატრიარქს თავზე ედგნენ ისინი, ვინც წლების წინათ გადადგომას ითხოვდნენ მისგან. სააკაშვილმაც მოინახულა პატრიარქი (იქნებ მოელანდა შარაძის, ჟვანიასა და პატარკაციშვილის სახეები?), რაც უფრო იმის დემონსტრირება იყო, რომ მისი დაკავება არავის უნდა. მოკლედ აქაც, ამოუცნობი შეხვედრების და სიყალბის აპოთეოზია.

სამწუხაროდ, ეკლესიაში შეაღწიეს ,,ნაცების" კადრებმა, რომელთა პარტიული ტელევიზია ფართო ასპარეზს უმობს მათ, დღესაც დემოკრატიის იმიჯს მორგებულები, ვითომ ჟურნალისტები გვარამიას ხელმძღვანელობით, ზეგავლენას ახდენენ სასამართლოზე, ერევიან ქონებრივ დავაში, თითქოს სააკაშვილის რეჟიმს ბიზნესმენებისთვის ქონება არ წაერთმიოს. ასევე კარგად ირგებენ კრიტიკული ტელევიზიის იმიჯს, რათა მთავრობის გინებით ,,ნაცების" დაბრუნების აუცილებლობა დაამტკიცონ. სააკაშვილის რეჯიმის 10 წლიანი პერიოდიდან, თუნდაც ერთი კრიტიკული მასალა აჩვენონ, სადაც სააკაშვილს, ამ ქვეყნის დამაქცევარს რამე გაუბედეს, რეჟიმის სამსახური არაა დანაშაული? დღეს არაა დემოკრატია? რასაც უნდა იმას ამბობენ, თავისუფალი სიტყვა დემოკრატიის ნიშანია, მაგრამ, არა ბინძური თავისუფალი სიტყვა, რომელიც გახადეს ბოროტმოქმედთა მიზნის მიღწევის საშუალებად.

30 წელია დემოკრატიის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეით ვაჭრობს 200 პარტია. დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულებმა, რევოლუციით ქუჩიდან მოსულებმა, არაპროფესიონალებმა, ფარისევლებმა გააჩანაგეს ქვეყანა ყველა პარამეტრით. არადა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, რწმენაზე, სიყვარულზე და კაცობაზე გადის. ყველას ერთნაირად უნდა მიგვეტანა გულთან ქვეყნის გასაჭირი, ქამარზე შემოგვჭირა, ამათ კიდევ დრო იშოვეს და გაძარჩვეს ქვეყანა. მტრისგან რა გვიკვირს ტერიტორიები რომ წაგვართვეს და ვერ მოვუარეთ.

დღესაც გაიძახიან - ადამიანის უფლებათა დაცვა და სიტყვის თავისუფლებაო მთავარი, არადა, რაც ,,ნაცებმა" მათ დღე აყარეს, რა საერთო აქვს ევროპასთან და ცივილიზაციასთან. მისი დამქაში ტელევიზიაც იცავს მეპატრონეს და არც ის რჩება ვალში ერთგულ, ვითომ მედიასთან, უბედურება ისაა, რომ ამ მედიას იცავენ სხვა პარტიული ლიდერები, პოლიტიკოსები, ექსპერტები, ნუთუ მართლა ასე ბნელა? შეიძლება ესენი ერის კაცებად იწოდებოდნენ, ისინიც დანაშაულის თანამონაწილეები არიან და ეს ხმამაღლა უნდა ითქვას. მართალია, სულიერების ციტადელი შეარყიეს, მაგრამ ისიც გამოჩნდა - ვინ და რომელი ძალები არ ისვენებენ.

პატრიარქი ენდობა გამოძიებას, თუმცა ,,ნაცები" არ ენდობიან და მისი ხელმძღვანელის გადაგომას ითხოვენ. დაველოდოთ იქნებ პროკურატურამ გადაარჩინა პატრიარქი და მამა გიორგისთვის არაფერი ისეთი მოუწყვიათ, რასაც წლების უკან თავად აკეთებდნენ ეს ნეოფაშისტები, ან სადაა გარანტია, თვითონ არ არიან ამის მოთავე.

გადამწყვეტი ეტაპი დადგა საქართველოს ცხოვრებაში - ან საბოლოოდ უნდა აეხადოს ფარდა ნაციონალების ავკაცობას ან საბოლაოდ დავასამაროთ ქართული სული-ღმერთი და ეკლესია, ქართული კაცის ღირსება და ტრადიციები. ეს უკანასკნელი ციტადელიც მორყეულია. ვინ გაამაგრებს? ვის აწუხებს, ვის ტკივა ეს ქვეყანა? ვისთვის რეკს ზარი?

ზ. აბრალავა

ბლიც-ინტერვიუ

ფოთის მერიის მუნიციპალიტეტში ახალი სამსახური შეიქმნა

ნინო პაჭკორია: „ფოთს-ფაზისს, უძველესი კულტურული ტრადიციების მქონე ქალაქს, განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს".

ფოთი-ფაზისი კოლხეთის ემპირიონი, როგორც უძველესი საგანმანათლებლო, კულტურული და ეკონომიკური ცენტრი, უძველესი დროიდან არის ცნობილი. ცხადია, მხოლოდ მისი წარსულის სიდიადით ვერ ვიცხოვრებთ, საჭიროა ახალი რეალიების გათვალისწინებით ვუპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს, რამეთუ კულტურა და ხელოვნება ქალაქის სავიზიტო ბარათია.

მთავრობის გადაწვეტილებით კულტურულ დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციის, კონცენტრაციის, ოპტიმიზაციის მიზნით რეგიონებში ჩამოყალიბდა ახალი სამსახურები.

ფოთში კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელად დაინიშნა მერის თანაშემწე საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ქალბატონი ნინო პაჭკორია. მას აქვს პედაგოგიური, სამსახიობო და მენეჯერული მუშაობის გამოცდილება. იყო მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი. არის ინიციატივიანი, ენერგიული ახალგაზრდა, გამოირჩევა ახლებური ხედვით, პასუხისმგებლობით, აქვს პროგრამები, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას და შემდგომ განვითარებას. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართეთ ჩვენს რესპოდენტს:

ქალბატონო ნინო,

ქვეყანაში დაიწყო ცალკეული სამსახურების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია,რა მიზანს ემსახურება სახელოვნებო ცენტრის შექმნა, რომელი ორგანიზაციები გაერთიანდნენ მასში?

ამ გაერთიანების მიზანი ქალაქში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობაა,რაც არ ზღუდავს დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას, შემოქმედებით ინიციატივებს, კულტურული ,,აიპები" გაერთიანდა და შეიქმნა სახელოვნებო ცენტრი. ამ გაერთიანებაში შევიდნენ ფოლკლორის ცენტრი, ოტია ჯაიანის სამხატვრო სკოლა, მოსწავლეთა ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი, სახელოვნებო სამხატვრო სკოლა და საგამოფენო დარბაზი.

ოპტიმიზაცია სხვადასხვა რეგიონში მტკივნეულად მიმდინარეობს, ასობით მოქალაქეები დარჩა უმუშევარი, თქვენთან რა მდგომარეობაა ამ მხრივ? მოკლედ, სამომავლო გეგმებზე?

ჩამოთვლილ ,,აიპებში" სულ ირიცხებოდა 137 თანამშრომელი, შევძელით თანამშრომელთა მაქსიმალური შენარჩუნება ხელფასების მინიმალური შემცირების ხარჯზე, ხელშეკრულება შეუწყდა 4 თანამშრომელს. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გვინდა გავაფართოოთ სახელოვნებო კულტურული არეალი, დავნერგოთ სიახლეები. მოსწავლეთა ახალგაზრდობის ცენტრში ჩამოვაყალიბებთ ახალ წრეებს. მათ შორის პანტომიმის წრეს, შევქმნით მარიონეტების თეატრს, ასევე ვგეგმავთ ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბებას. ამ საქმის პროფესიონალებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და მარტში დავიწყებთ ამ ჩანაფიქრის განხორციელებას. მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით დავიწყებთ შენობის რეაბილიტაციას პირველ რიგში მოვაწესრიგებთ საკონცერტო დარბაზს, სადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემოქმედებით ჯგუფს ექნება საშუალება გამართოს წარმოდგენები, საერო და საეკლესიო თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.

ახალგაზრდობას უნდა ქონდეს გონივრული გართობის, დასვენების, თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობის გამოხატვის საშუალება. ჩვენ ყველას ხელს შევუწყობთ, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კონკურსებში, უნდა გამოვაცოცხლოთ ქალაქში კულტურული ცხოვრება, ის ხომ მისი სავიზიტო ბარათია. ვეცდებით ჩვენი ხელოვნება გავიტანოთ საზღვარგარეთ, ქართული ფოლკლორი ხომ უნიკალურია.

საერთოდ, ფოთი-ფაზისი ოდითგან იყო საქართველოს საგანმანათლებლო, კულტურული და ეკონომიკური ცენტრი. და ეს ფუნქცია არ უნდა დაიკარგოს, ქალაქს ააქვს ამის პოტენციალი, მოვა დრო და კულტურის ახალი კერების, აშენებაც დადგება დღის წესრიგში, რომელიც დააკმაყოფილებს ახალ მოთხოვნებს და სრულიად წარმოაჩენს ჩვენს მიღწევებს ხელოვნებისა და კულტურის დარგში.

გისურვებთ წარმატებებს

მ. ბედია

საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

ქალები-ყველაზე თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით...

გენდერული თანასწორობის სურათი დღევანდელ საქართველოში და ქალაქ ფოთში

2017 წლის 26 იანვარს შედგა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სათათბიროს თავმჯდომარე გერონტი კუხალეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: გიგლა გვიჩია, ბეჟან ჯალაღანია, ნანა თოფურია, ნაპო თოდუა, ვაგნერ მხეიძე, ლუიზა ჩხეტია, კორნელი სართანია, ჯემალ გურგენაძე, ჯემალ მიგინეიშვილი, ირაიდა ფაცია, დავით პაჭკორია.

დღის წესრიგი:

გენდერული თანასწორობის მდგომარეობა ქალაქ ფოთში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობა ნიშნავს, ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შესაძლებლობები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისთვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს ქალისა და მამაკაცის იგივეობას, პირიქით - დემოკრატიულ პრულარისტულ საზოგადოებაში აღიარებულია, რომ ადამიანებს აქვთ სხვადასხვა ღირებულებები და მიზნები, სხვადასხვა საჭიროებები და ცხოვრების წესი. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ისინი უნდა სარგებლობდნენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით და ჰქონდეთ ერთნაირი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი, შედარებით ახალი ფენომენია და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად. საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობებისა და საზოგადოებების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ კვოტირების სისტემას.

გენდერული კვოტა - იდეა მოიაზრებს ქალთა დაცვას პოლიტიკური იზოლაციისაგან. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად, რაც ქვეყანაში „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ ბაზისს ქმნის. კვოტირების სისტემა დროებითი, იძულებითი, ხელოვნური ღონისძიებაა, მაგრამ, რადგანაც ქალთა ჩართვა სახელმწიფოს მმართველ სტრუქტურებში მრავალ ბარიერთანაა დაკავშირებული, კვოტირება, როგორც იძულებითი ზომა, ამ ბარიერების გადალახვას ემსახურება. კვოტირების თეორია წარმომადგენლობით პრინციპებს ემყარება. ამ არგუმენტაციის თანახმად, რადგან მსოფლიოში მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, ლოგიკურია, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფს შესაბამისი წარმომადგენლობა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. წარმომადგენლობითობის თეორიასთან ერთად ერთად პოპულარულია რესურსების გამოყენების თეორიაც, რომლის მომხრეებსაც მიაჩნიათ, რომ ქალები პოლიტიკურ ცხოვრებაში განსხვავებულ ღირებულებებს, ხედვებსა და გამოცდილებას შემოიტანენ, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს პოლიტიკურ პროცესებს.

პოლიტიკურ სისტემის ავტორიტარულიდან დემოკრატიულზე გადასვლა თავისთავად ვერ უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობას. ხშირ შემთხვევაში გარდამავალ პერიოდს გაციცებით მეტი უთანასწორობის მოტანა და როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მდგომარეობის გაუარესება შეუძლია.

1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველომ ძალიან მშფოთვარე ხანა გამოიარა ეთნიკური ომებით ოსეთსა და აფხაზეთში, ძალაუფლების ძალისმიერი შეცვლით, სამოქალაქო ომისა და რევოლუციის სახით, რაც ძალზე უარყოფითად აისახა მოსახლეობის მდგომარეობაზე. სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად დაკავშირებულმა პოლიტიკამ უარყოფითი შედეგები მოიტანა და კიდევ უფრო გააღატაკა მოსახლეობა. ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე 300 000 იძულებით გადაადგილებული პირი დარჩა უსახლკაროდ და უკვე ათწლეულზე მეტ ხანს სავალალო პირობებში ცხოვრობს. ამ ფონზე გენდერული უთანასწორობა როგორც მოსახლეობის, ისე ხელისუფლების მიერ აღიქმება, როგორც საერთაშორისო სააგენტოების მიერ თავსმოხვეული, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც რაღაც უცხო, საქართველოსთვის არასაჭირო რამ, ხოლო უარეს შემთხვევაში კი როგორც ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ხდება ცხოვრების ტრადიციული წესის მოშლა. საქართველოს კანონმდებლობით უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობა. მამაკაცები და ქალები საქართველოში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაც ასახულია კონსტიტუციაში და კანონებში.

კავკასიაში ერთ-ერთ რეფორმატულ ქვეყანად სწორედ საქართველო მოიაზრება და გენდერული თანასწორობის მიმართ გატარებული პოლიტიკა (კანონის დონეზე) უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ კუთხით მიმდინარე სამუშაოები საკმაოდ შრომატევადია, რადგან გარემო, კავკასიური მენტალობიდან გამომდინარე პატრიარქალურია. პოლიტიკის ხორცშესხმასა და ქმედითუნარიანობას სამოქალაქო შემეცნებითი დონის ამაღლება სჭირდება.

საქართველო მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით, 134 ქვეყნიდან 84-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ფენომენია ადრეული ქორწინებები, მოტაცება ქორწინების მიზნით, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ე.წ „ღირსების მკვლელობებიც“ კი; ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35%-ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ, და ეკონომიკურ ზეწოლას; საქართველო მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში სელექციური აბორტების, იგივე დაუბადებელ ბავშვთა სქესობრივი ნიშნით მკვლელობების თვალსაზრისით. ტრადიციის შედეგად, რომლის თანახმად ბიჭის, როგორც „მემკვიდრის“ დაბადება უფრო სასურველია, ყოველწლურად ათასობით გოგონა ხდება სქესის ნიშნით ნაყოფის მუცელშივე მკვლელობების მსხვერპლი.

ქალები თითქმის საზარალო მდგომარეობაში არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნომინალურია ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში (150 დეპუტატიდან მხოლოდ 17 ქალია), აღმასრულებელ ხელისუფლებასა (20 მინისტრიდან მხოლოდ 3 ქალი) და კერძო სექტორში. მართალია, პროცენტულად ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურებზეა წარმოდგენილი, მაშინ როცა გადაწყვეტილებების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს ეკუთვნით (მაგ. საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე წარმოდგენილია 2318 მამაკაცი და 298 ქალი). კულტურულად კონსერვატულ საქართველოში შრომით ბაზარზე წარმატებული ქალების ნაკლებობას მავანნი ქალებისავე არჩევანით ხსნიან. ამ მოსაზრების მომხრენი მიიჩნევენ, რომ ქალებისთვის ბევრად სასურველია მოირგონ ნაკლებად აქტიური, თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული პროფესიული როლი, იმისათვის, რომ ოჯახსა და შვილების აღზრდას მეტი დრო დაუთმონ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ ჩატარებული ეროვნული კვლევის თანახმად, ქორწინებაში მყოფი ყოველი მე-11 ქალი საქართველოში აღიარებს, რომ გამხდარა მეუღლის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ქალთა 34% კი ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს. ქალთა 50% ფიქრობს, რომ ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება. კვლევა ქმრის ან პარტნიორის მიერ ქალის კონტროლის სხვა ფორმებზეც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, ქალთა 11 %, მაგალითად ქმრის ნებართვა სჭირდება ექიმთან წასასვლელად, ქალთა 29% კი, იმის გამო, რომ ქმარი უკრძალავს, საკუთარ მშობლებთან ურთიერთობა არა აქვს.

ანალოგიურიმდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქალაქშიც, რაოდენსამწუხაროც არ უნდა იყოს, ქალაქში არ არსებობს ინსტიტუცია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის და იმუშავებს თანამედროვეობის ამ მნიშვნელოვან საკითხზე.

ასევე აღინიშნა, რომ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმების სამსახურის უფროსის მაია მაკალათიას მიერ ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია.

სათათბირომ გადაწყვიტა:

მოეთხოვოს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, ვეტერანთა, გენდერული თანასწორობისა და დასაქმებისსამ სახურის უფროსს მაია მაკალათიას ქალაქში გენდერული თანასწორობის საკითხის ჯეროვანი შესწავლა, შესაბამისი ანალიზის ჩატარება და განსახოციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

1. გენდერული თანასწორობის მდგომარეობა ქალაქის საკრებულოსა და მერიაში განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს და იგი ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობასთან უნდა იყოს თანხვედრი;

2. ქალაქში შეიმჩნევა ორსული ქალების მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი უფლებების შეზღუდვა და დისკრიმინაცია, განსაკუთრებით – კერძო ბიზნეს სტრუქტურებში;

3. ჯეროვნად არ არის შესწავლილი, გაანალიზებული ოჯახური ძალადობის ინსტიტუტი – მისი გამომწვევი მიზეზები, სუბიექტური და ობიექტური პირობები, პრევენციის გზები და საშუალებები, განათლების სისტემის აქტუალიზაცია ამ მიმართულებით;

4. საზოგადოებისათვის ცნობილია ქალთა შევიწროების ფაქტები, მათ შორის სხვადასხვა ფორმით, რაც უკვე გახდა ფართო მსჯელობის საგანი;

5. გასაკუთრებული განსჯის საგანი უნდა გახდეს გოგონათა ადრეული ქორწინების და ორსულობის თემა. მიუხედავად საკანონმდებლო ინიციატივისა, ასეთ ფაქტებს მრავლად აქვს ადგილი;

6. შესწავლილი და გასაანალიზებელია გოგონათა მიერ სკოლაში სწავლის მიტოვების ფაქტები, რომელთა უშუალო მიზეზებია:

ადრეული გათხოვება და ორსულობა;

ბავშვის გადაწყვეტილება სწავლაზე უარის შესახებ;

მშობლების გადაწყვეტილება სწავლაზე უარის შესახებ.

7. საზოგადოების ყოველდღიური ზრუნვის თემაა მარტოხელა დედების და მათი განსაცდელის პრობლემა;

8. მეტად მტკივნეული თემებია – LGBT-საზოგადოება, არასრულწლოვანთა დაინტერესება სხვადასხვა სექტებით, მიმდინარეობებით და ა.შ.

9. გააქტიურდეს მერიის შესაბამისი სამსახურის ორგანიზაციული და პრაქტიკული საქმიანობა, ქალაქში გენდერული თანასწორობის საკითხის ჯეროვანი შესწავლის, შესაბამისი ანალიზის ჩატარების და განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და ჩატარებისათვის;

10. ქალაქის მმართველობის ყველა რგოლმა ხელი შეუწყოს გენდერული პოლიტიკისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების განხორციელების დაცვას;

11. მიღწეულიქნას ქალაქის მმართველობით სტრუქტურებში ქალთა დაწინაურებისა და წარმოჩენისპრაქტიკის დანერგვა;

12. მიღწეულ იქნას ქალაქის პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდა;

13. გაფართოვდეს სასწავლო, შემეცნებითი და საღმზრდელო საქმიანობა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისათვის გენდერული თანასწორობის საკითხებში;

14. განხორციელდეს ყველანაირი ხელშეწყობა და წახალისება ქალთა საზოგადოებრივი კავშირების, გაერთიანებებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებისა და წარმატებული საქმიანობისათვის.

გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ეს აუცილებელი წინაპირობაა, რომ შეიქმნას სტაბილური გარემო, ეკონომიკური ზრდა, თანასწორობის კულტურის ჩამოყალიბება და ყველა იმ დემოკრატიული ღირებულებების ქმედებაში მოყვანა, რაც ჩვენი ქალაქისათვის იქნება საკეთილდღეო.

ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი სათათბიროს წევრი
პაატა გეგენავა
ქ.ფოთი
10.02.2017 წ.

ნიკო ნიკოლაძის ვაჟის-გიორგი ნიკოლაძის სპორტული ცხოვრების უცნობი ფურცელი

პაატა ნაცვლიშვილი: მართლა საქართველოდან იყო თუ არა 1900 წლის „უცნობი ფრანგი ბიჭუნა"?

ოლიმპიური ისტორიის ჟურნალი, ტომი 24, №3, 2016 წელი, იბეჭდება მსოფლიო შემოკლებით

ფოტოზე ორი ჰოლანდიელი ნიჩბოსანია აღბეჭდილი, პატარა მესაჭით შუაში. ისინი 1900 წელს პარიზში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. დიდი ხნის განმავლობაში ეს პატარა ბიჭი ოლიმპიადების უმრწემეს მონაწილედ ითვლებოდა და ოლიმპიურ ანალებში „უცნობი პარიზელი ბიჭუნას" სახელით არის ცნობილი. დღემდე ვერავინ შეძლო მისი ვინაობის დადგენა.

პირველად რომ ვნახე ეს ფოტო პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე ცოცხალი აღარ იყო. როცა მას ვეწვიე 1978 წელს, მან სხვათაშორის ახსენა, რომ მისმა ძმამ, გიორგიმ პატაროობისას ნავებით ასპარეზობა მოიგო საფრანგეთში. მაშინ მისი ამ სიტყვებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიმიქცევია და ვერც ვერანაირად დავაკავშირებდი ფოტოსთან. ფაქტობრივად, ჩვენ უფრო მამამისზე ნიკო ნიკოლაძეზე ვსაუბრობდით და მეც სულშეკრული ვუსმენდი, ისეთ საინტერესო ამბებს მიამბოდა.

1978 წლის შემოდგომაიდგა, როდესაც რუსუდან ნიკოლაძე გამაცნო ალექსანდრე სიგუამ- ღვაწლმოსილმა ქართველმა ჟურნალისტმა და ლიტერატორმა. მას ჩემი წერილი წაეკითხა გიორგი ნიკოლაძეზე სპორტულ ჟურნალ „მართველში" და ტელეფონით დამირეკა იმის სათქმელად, რომ წერილი მოეწონა და აღაფრთოვანა მისმა სათაურმა „პროფესორი მოკლე შარმით", ხოლო წერილის პირველი აბზაცი ასეთი გახლდათ: „გიორგი ნიკოლაძე რაღაცით ჩამოგავს იმ ლეგენდარულ ანტიკურ ღმერთკაცებს, რომლებიც ერთდროულად იყვნენ მეცნიერებიც და პოეტებიც,მიწის მუშებიცა და ფილოსოფოსებიც, მეომრებიცა და ოლიმპიური ჩემპიონებიც".

„ოლიმპიური ჩემპიონები" მაშინ ფიგურალურად მქონდა ნათქვამი, ახლა კი 35 წლის შემდეგ, ეს სიტყვები გაცილებით ზუსტი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე იმ დროს წარმომედგინა.

მალე ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ ალექსანდრე სიგუამ დამირეკა და გადმომცა, რომ რუსუდან ნიკოლაძეს წაეკითხა ეს წერილი და ჩემთან შეხვედრა მოენდომებინა. რუსუდან ნიკოლაძემ მითხრა რომ გიორგი მრავალმხრივი სპორტსმენი იყო, ალპინისტი, ტანმოვარჯიშე, მოციგურავე, ველოსიპედით მოიარა ევროპა, პატაროობისას საფრანგეთში „ნავებით" შეჯიბრება მოიგო. მაშინ ეს ყურში არ მომხვედრია, როგორც რამე არაჩვეულებრივი, რადგან მან მხოლოდ გიორგი ნიკოლაძის სპორტული ინტერესები თუ სპორტული წარმატებები ჩამოთვალა, რომლებსაც კარგად ვიცნობდი, მაგრამ წლების მერე გაირკვა, რომ ვცდებოდი.

პატაროობისას საფრანგეში ნავებით შეჯიბრება მოიგოო! ეს სიტყვები ისე სასხვათაშორისოდ წარმოთქვა რუსუდან ნიკოლაძემ, რომ ჩანს მისი ძმის სხვა მიღწევები უფრო მნიშვნელოვნად და უფრო აღსანიშნავად მიაჩნდა, ვიდრე ის გამარჯვება საფრანგეთში. შედეგად, მას სპეციალური აქცენტი „ნავებით" შეჯიბრებაზე აღარ გაუკეთებია.

სამწუხაროდ, ის ფოტო მაშინ ნანახი არ მქონდა. ოლიმპიური ისტორიის იმ ეპიზოდის შესახებ კარგახნის შემდეგ გავიგეთ, როცა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ჩამოვაყალიბეთ და მე მის ვიცეპრეზიდენტად აღირჩიეს. მერე და მერე ოლიმპიურ ისტორიაში უკვე საკმაოდ ჩახედულმა ეს სიტყვები ადრეული ოლიმპიური ტამაშების ერთ ყველაზე იდუმალ და დღემდე ამოუცნობ ეპიზოდს დავუკავშირე.

ბიჭმა საფრანგეთში ნავებით შეჯიბრება მოიგო

ისტორიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტი დევიდ ვალიჩენსკი 1900 წლის ოლიმპიადაზე 2ადგილიანი მესაჭიანი ნავებით ასპარეზობის შესახებ წერს: „ეს შეჯიბრება ოლიმპიური თამასების ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი გამოცანის წყაროდ იქცა, ვინ არის ოლიმპიური თამაშების უმრწემესი მონაწილე? ფრანსუა ბრანდტი და რულოფ კლაინი ასპარეზობის ადვილად მოგებას ვარაუდობდნენ და ძალიან გაუჭირდათ, როცა საკვალიფიკაციო რბოლაში მარტინეტმა და ვალევმა 8, 6 წამით მოუგეს თუმცა, მათი მარცხის მიზეზი ნათელი იყო-ჰოლანდიელებს ნორმალური მესაჭე ჰყავდათ-დოქტორი ჰერმანუს როკმანი, რომელიც 60 კგ-ს (132 გირვანქას) იწონიდა, მაშინ როცა საფრანგეთის ეკიპაჟებს მესაჭეებად ბავშვები აეყვანათ, ფინალისთვის ჰოლანდიელებმა გადაწყვიტეს თვითონაც ასე მოქცეულიყვნენ, მათ იპოვეს სიმძიმის გამო (33 კგ-77გირვანქა) ფრანგების მიერ დაწუნებული ადგილობრივი ბიჭი. ნავში მისი ჩასმის შემდეგ ბრანდტმა და კლაინმა დაასკვნეს, რომ მათი ნავისთვის იგი მეტისმეტად მსუბუქი იყო საამისოდ,რომ საჭე წყლით დაფარულიყო და საჭეზე დამატებით კიდევ 5 კილო დაკიდეს. იმის შიშით, რომ 2 ფრანგული ეკიპაჟი ერთობლივ ბრძოლას გაუმართავდა ბრანდტი და კლაინი სტარტიდანვე გაიჭრნენ წინ, ისინი ფინიშის ხაზამდე წინ იყვნენ და მარტინეტსა და ვალევს თითქმის ერთი მეტრით მოუგეს. ახალგაზრდა ფრანგმა მესაჭემ კარგა ხანს იტრიალა ირგვლივ, ისე რომ ფოტოც გადაუღეს მათ ახალ ჰოლანდიელ ამხანაგებთან ერთად, მაგრამ მერე ქალაქში გაუჩინარდა".

ნიჩბოსანთა ასპარეზობები 1900 წლის 25-26 აგვისტოს გაიმართა მდინარე სენაზე ასმიერ გურბეუას ბასეინში, მასსი 8 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. და არცერთ მათგანს წარმოდგენა არ ქონდა, რომ ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობდნენ. მელონის გამოკვლევების თანახმად მესაჭიან ორადგილიანთა ფინალი 26 აგვისტოს ჩატარდა. შეჯიბრებაში 7 ეკიპაჟი მონაწილეობდა, რომელთაგან 5 ფრანგული იყო, ერთი ჰოლანდიური და ერთიც ბელგიური. მომავალი გამარჯვებულები ჰოლანდიელები, სამნავიან წინასწარ რბოლაში დამარცხდნენ მარნის სანაოსნო საზოგადოების ფრანგულ ეკიპაჟთან, მაგრამ ფინალში მაინც გავიდნენ, როგორც მეორე ადგილოსნები. ჰოლანდიურ ეკიპაჟს ფრანსუა ბრანტი და რულოფ კლაინი შეადგენდნენ მესაჭე ჰერმანუს ბროკმანთან ერთად, თუმცა ფინალში მათ ბროკმანი „პარიზელი ბიჭით" ჩაანაცვლეს.

უფრო არასწორია, რომ „უცნობი ფრანგი ბიჭუნას" ნაცვლად ოლიმპიურ ჩემპიონად ჰერმანუს ბროკმანი გამოაცხადეს.

იგი სწორად აღნიშნავს, რომ ჩემი გამოკვლევა ეფუძნება ინტერვიუს ნიკოლაძის დასთან, რომელიც „საფრანგეთში ნავებით შეჯიბრებაში" მის გამარჯვებას იხსენებს და რატომ არის ეს არგუმენტი მიუღებელი? ნუთუ ეს საკმარისი არ არის ფაქტის დასაჯერებლად? საზოგადოდ მგონია სიტყვა „ვერდიქტი" მეტისმეტად კატეგორიულია ამ შემთხვევაში. მაინტერესებს როგორი იქნებოდა რეაქცია, ვინმეს რომ დარწმუნებით განეცხადებინა, რომ ამ ფოტოზე ჩემი დიდი ბაბუაა აღბეჭდილიო.

დავუბრუნდეთ 1900 წლის ასპარეზობებს პაოლიზე შეზღუდული ინფორმაციის გარდა არაფერია შემორჩენილი ორადგილიანების სამი დანარჩენი მესაჭის შესახებ, თუ არ ნავთვლით გამარჯვებულის საკმაოდ უხარისხო ფოტოს და იმის ცოდნას,რომ ყველანი ისინი პატარა ბიჭები იყვნენ „ჰოლანდიელი" მესაჭის ფიგურა მაინც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ოლიმპიური თამაშების ისტორიისათვის, რადგან ფრანგთა მესაჭეებისგან განსხვავებით, მან ფინალი მოიგო და ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული გაინაღდა. მეტიც ოლიმპიურ ისტორიკოსთა და სტატისტიკოსთა აზრით ის სეიძლება სულაც უმრწემესი ოლიმპიური ჩემპიონია!

ოლიმპიურ ისტორიკოსთა საერთაშორისო საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ენტონი ბიჯკრეკმა ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია ამ თავსატეხის ამოხსნას, და თუმცა ვერ შეძლო ბიჭუნას ვინაობის დადგენა, მან ფარდა ახადა საკმაოდ ბევრ ინფორმაციას იმის შესახებ. იგი პირველი იყო ვინც გამოთქვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ „უცნობი ფრანგი ბიჭუნა" სულაც არ იყო ოლიმპიადების უმრწემესი მონაწილე. 1980 წელს მანვე ადმოაჩინა აგრეთვე ის ფოტო, რომელიც ასეთ თავისტკივილად იქცა ოლიმპიური ისტორიის მრავალი მკვლევრისთვის.

თავის მოგონებებში ბრანდტი გულნატკენი წერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყვნენ მომზადებული და მოწინააღმდეგეებზე ძლიერებიც იყვნენ, ისინი ნახევარფინალში დამარცხდნენ, მარნის სანაოსნო საზოგადოების გუნდთან ნავის რამდენიმე სიგრძით. იგი ამ დამარცხების მიზეზს იმაში ხედავს, რომ პირობები არათანაბარი იყო, რადგან ფრანგ მენიჩბეებს მესაჭედ ბავშვი ჰყოლიათ, რომლებსაც ახლებით ცვლიდნენ, როგორცკი ისინი 25 კგ-ს მიაღწევდნენ წონაში,ჰოლანდიელებს კი მესაჭედ თუმცა გამოცდილი, მაგრამ მთელი 60 კგ-ი წონის დოეტორი ჰერმანუს ბროკმანი ჰყავდათ. ბრანდტის გადმოცემით, როდესაც მათ გაიგეს, რომ როგორც დაამარცხებულთა შორის ყველაზე კარგი შედეგის მქონენი, ფინალში იყვნენ დაშვებული, მათმა მწვრთნელმა დოქტორმა რ.ჯ.ტ. მეურერმა ჰოლანდიური სანიჩბოსნო კლუბის იქ მყოფ წამომადგენლებთან მოთათბირების შემდეგ გადაწყვიტა, რომ მათაც მოეძებნათ მესაჭედ ასეთი ბიჭუნა, ბარნდტმა და კალინმა იპოვნეს კიდეც ბიჭი. იგი 33 კგ-ს იწონიდა,მაგრამ ნავში რომ ჩასვეს, კიდევ 5 გ-ს დამატება მაინც დასჭირდათ,რომ ნავის საჭე წყალში საჭირო სიღრმეზე ჩაძირულიყო. ბრანდტი წერს, რომ ბიჭუნას გარკვეული გამოცდილება უკვე ჰქონდა და თითქოს ქვემო სენის საზოგადოების ნოიჩბოსნებთან ერთად მესაჭედაც მჯდარა.

იმის მიუხედავად, როდის იპოვეს ჰოლანდიელებმა ეს ბიჭი-25-ში, ნახევარფინალების, თუ უკვე მერე ფინალის დღეს, ძნელი წარმოსადგენია რომ მათ ბიჭისთვის სახელი მაინც არ ეკითხათ,მით უმეტეს, რომ იგი რბოლის შემდეგ არ გაუჩინარებულა, დარჩა და სურათიც კი გადაიღო, წონის დამატების ამბავიც კი გვაფიქრებინებს,რომ მათ ალბათ ერთობლივი მოუსწრიათ და ის ფაქტი, რომ ბრანდტი მის სახელ ვერ ან არ იხსენებს, მრავალნაირი ინტერპრეტაციის სახელ იძლევა. მაგალითად, რომ ბიჭი გამოუცდელი იყო, რის გამოც სავარაუდოდ ასპარეზობაზე არ დაუშვებდნენ, ხოლო ჰოლანდიელებს ნებისმიერ ფასად სჭირდებოდათ თავისი უპირატესობის დამტკიცება.

ვინ იყო გიორგი ნიკოლაძე?

თუ სწორია ჩემი ვარაუდი, რომ ის ბიჭუნა ჩემი თანამემამულე გიორგი ნიკოლაძე იყო, ალბათ საინტერესოა მეტი გავიგოთ მის შესახებ.

იგი დაიბადა 1888 წლის 29 ივლისს, მშობლებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს მასზე. ისინი ძალას არ იშურებდნენ, რომ ხელი შეეწყოთ გიორგისთვის, ბუნებრივი ნიჭის რაც შეიძლება სრულად გამოვლენაში. მშობლიურ სოფელში დიდ ჯიხაიშში დედა ბავშვს სპარტანულად ზრდიდა, გიორგი მუდამ სჯობნიდა ტოლებს სირბილსა და ტანვარჯიშში. სიმძიმეების სტყორცნაში, ცურვასა თუ მშვილდოსნობაში.

1898 წელს იგი თბილისის პირველ გიმნაზიაში მიიყვანეს,სადაც განსაკუთრებიული ინტერესი გამოიჩინა ფიზიკის, მათემატიკისა და ტანვარჯიშის მიმართ. იმ დროს პირველი გიმნაზია ცნობილი იყო მისი ტანვარჯიშის სკოლით, რომელსაც მიროშლავ ტირშის „სოკოლის" სატანვარჯიშო სისტემის მიმდევარი, ცნობილი ჩეხი ტანმოვარჯიშე, ანტონ ლუკეში ედგა სათავეში. 1899 წელს გიორგი უკვე მონაწილეობდა მოსწავლეთა სპორტულ შეჯიბრებებში. მერე იყო დიდი მოგზაურობა. გიორგიმ მშობლებთან და დებთან ერთად მოიარა ევროპა, ინახულა მოსკოვი, ბერლინი, ვენა, ჟენევა და პარიზი.

ჩვენ გვჭირდება დავადგინოთ, რომ

1. გიორგი ნიკოლაძე 1900 წელს იყო 7-12 წლისა. 26 აგვისტოს იგი 12 წლისა და 28 სდღის იქნებოდა.

2. იგი ადრეული ბავშობიდანვე იყო მიდრეკილი სპორტისაკენ და მისთვის და მისთვის უცხო არ იყო ნავში ჯდომა. მართლაც, მან ადრეული ასაკიდან გამოავლინა სპორტული ნიჭი. ფოთში, სადაც ის იზრდებოდა, ნავშიც არაერთხელ მჯდარა.მოგვიანებით,მამაისმა სახლში სატანვარჯიშო დარბაზი მოუწყო ორძელიოთა თუ რგოლებით. 1901 წელს კი იგი თავის დებთან ერთად იპყრობს მწვერვალ ტეტ-დუჟეანს ალპებში.

3. ის გარეგნულად ჰგავდა შემორჩენილ ფოტოზე აღბეჭდილ „პარიზელ" ბიჭუნას. ნიკოლაძეთა დიდი ჯიხაიშის მუზეუმში დაცულია გიორგის რამდენიმე ფოტო, ისინი საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, მაგრამ გადაღებულია შესაბამის პერიოდში და მსგავსებას ავლენენ „უცნობ ფრანგ ბიჭუნასთან".

4. ნიკოლაძეთა ოჯახში ფრანგული მეორე ენა იყო და გიორგი ადრეული ბავშობიდანვე კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად. ასე რომ, ადვილი შესაძლებელია შეჯიბრების მონაწილეებს, იგი „პარიზელი" ბიჭი ჭონებოდათ.

5. 1900 წლის ზაფხულში ის პარიზში იყო. მისი დის მოგონებების თანახმად მთელი ოჯახი სამი კვირა დარჩა პარიზში. თუმცა არ არის მინიშნება ზუსტ თარიღებზე.

რატომ არის არამონაწილე დამტკიცებული ოლიმპიურ ჩემპიონად?

თუმცა კამპერი და მელონი თავიანთ წიგნში „უცნობ ფრანგ ბიჭუნასაც" მოიხსენიებენ, ეკიპაჟს თვლიან არა „შერეულად", არამედ ნიდერლანდს აკუთვნებენ. ვალეჩინსკიც ახსენებს „პატარა ფრანგ ბიჭუნას" თავის ადრინდელ გამოცემებში (1988,1996), მაგრამ გამარჯვებულთა ეკიპაჟის წევრთა ჩამოთვლისას ბრანდტთან და კლაინთან ერთად ჰერმანუს ბროკმანის სახელიც აქვს შეტანილი.

რატომ არ შეიძლება რომ პარიზში, სადაც ნიკო ნიკოლაძე მთელი ოჯახით იყო წასული „პარიზის გამოფენის სასწაულების" დასათვალიერებლად, ისინი სპორტულ ასპარეზობასაც დასწრებოდნენ? შეიძლება კი არა, ეს უეჭველად ასეც იქნებოდა, რადგან ნიკო ნიკოლაძე დიდად იყო დაინტერესებული ბავშვების ფიზიკური განვითარებით და ასეთ შანსს იგი ხელიდან არ გაუშვებდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძე და მისი ოჯახის წევრები ოლიმპიური თამაშების პირველი ქართველი მაყურებლები იყვნენ.

მაგრამ, რატომ არ შეიძლება აგრეთვე, რომ სპორტით გატაცებული მისი პატარა გიორგი, რომელიმე სპორტულ ასპარეზობაზე ერთ მშვენიერ კვირა დღეს (26 აგვისტოს) დამოუკიდებლადაც წასულიყო? მომდევნო წელს, 1901-ში მან დები მარტომ წაიყვანა ალპინისტურ ლაშქრობაში და სერიოზულ მწვერვალზეც ავიდნენ. ეს გვაფიქრებინებს,რომ მას ბავშვობიდანვე დამოუკიდებელი და თამამი ხასიათი ჰქონდა.

შესაძლებლის ფარგლებიდან არც ის გამოდის,რომ იგი ნიჩბოსანთა ფინალზე აღმოჩენილიყო. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დღეს მთელ პარიზში სხვა სპორტული ასპარეზობა არ ჩატარებულა, ქალაქი ამ სპორტული შეჯიბრების აფიშებით იყო მოფენილი.

იქნებ, რომელიმე ეკიპაჟმა ჯერ კიდევ ფინალამდე გიორგიც გამოცადა მესაჭედ და მანაც გარკვეული გამოცდილება შეიძინა?

რატომ არ შეიძლება ბრანდტსა და კლაირს სწორედ ის გამოერჩიათ თავიანთ მესაჭედ?

ძნელი დასაჯერებელი არ უნდა იყოს, რომ ფრანგულად მშვენივრად მოლაპარაკე გიორგი „პარიზელ" ბიჭუნად ჩაეთვალათ ჰოლანდიელებსაც და სხვებსაც.

რატომ არ შეიძლება სწორედ ის იყოს აღბეჭდილი იმ ცნობილ ფოტოზე, რომელიც დღემდე მოსვენებას უკარგავს ოლიმპიური თამაშების ისტორიკოსებს?

ეს ყველაფერი მართლაც შესაძლებელია, მისი ყოველდღიური ჩაცმულობა გვაფიქრებინებს,რომ ყმაწვილი ფრანგი მესაჭეებისგან განსხვავებით იგი ნაკლებად ვარაუდობს ასპარეზობაში მონაწილეობას და შეჯიბრებაში მოულოდნელად ჩაერთო.

მესაჭეები 700 ფრანკით დააჯილდოვეს

თავიდან, სანამ უფრო ღრმად ჩავიხედავდი ოლიმპიური ისტორიის ანალებში, მეკვირდა რატომ არაფერი იცოდა გიორგი ნიკოლაძემ ოლიმპიურ თამაშებში მისი მონაწილეობის შესახებ. კი, ბატონო, არავის არაფერი უთხრა ამის შესახებ,მაგრამ როგორ არ შეინახა პატარა ბიჭმა მედალი? მის ასაკში ბიჭები ოლიმპიურ მედალს კი არა, პატარა სამკერდე ნიშანსაც კი ნამდვილ განძად თვლიან და თვალის ჩინივით უფრთხილდებიან.

მერედა გავიგე, რომ 1900 წლის თამაშებზე მედლები არ გაცემულა. სანაცვლოდ ზოგიერთმა გამარჯვებულმა, არა ყველამ პლაკეტები მიიღო, რაც სინამდვილეში მსოფლიო გამოფენის ჯილდოები გახლდათ.ნიჩბოსნობა ერთ-ერთი იმ სახეობათაგანი იყო, სადაც ასეთი მედლებიც არ გაცემულა.

ადვილი შესაძლებელია, რომ გამარჯვებულებს ინდივიდუალურად გარკვეული თანხაც ხვდათ წილად. გამარჯვებულთა ფულით დაჯილდოვება, ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო. 1900 წლის ოლიმპიადაზე ფაქტია, რომ ოფიციალური ანგარიშის მიხედვით მესაჭეებისთვის ცალკე იყო გამოყოფილი 700 ფრანკი. და, რომ გიორგიმ ფულადი პრიზი მიიღო დაადასტურა რუსუდან ნიკოლაძის ყოფილი სტუდენტის მიერ, მას მერე რაც მე ჩემი გამოკვლევა ქართულ ჟურნალში გამოვაქვეყნე. დღეს ისინი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დაწლმოსილი პროფესორები არიან. აი, როგორ იხსენებენ ისინი რუსუდან ნიკოლაძის მონაყოლს.

„პარიზში ყოფნის დროს აპატარა გიორგის ოჯახის ქალბატონები სასიამოვნო სიურპრიზით გაუკვირვებია. „ამ ცხვირმოუხოცავმა ბიჭუნამ (რუსუდანის გამოთქმით) სიცილ-სიცილში ჩამოგვირიგა დედას და ორ დას სუვენირებიო.ბუნებრივია დავინტერესდით, საიდან ჰქონდა საამისო თანხა, გიორგიმ სიცილ-კისკისით და სიამაყით გამოგვიცხადა, რომ ეს მისი ჯილდოა და გადაწყვიტა გავეხარებინეთ. თურმე ნავებით დიდი შეჯიბრი ყოფილა და იქ გაუმარჯვია. გამარჯვებულებს კი ფულადი ჯილდო მიუდიათ და მათ შორის გიორგისაც".

მაგრამ რატომ არსად არაფერია ნათქვამი გიორგი ნიკოლაძის ამ გამარჯვებაზე? რატომ არსად არაფერი დაწერა ამაზე რუსუდან ნიკოლაძემ? რატომ არაფერი იცოდა ამის შესახებ გიორგის ბიოგრაფოსმა ალექსანდრე სიგუამ? თვითონ გიორგი მაინც რატომ არსად არ იხსენებს ბავშობის დროინდელ ამ ეპიზოდს?

ბევრი კითხა, მაგრამ ცოტა პასუხი.

მას მერე, რაც ბრანდტისა და კლაინის მესაჭედ „უცნობი ფრანგი ბიჭუნას" რეკრუტირების ამბავი გავიგე, მუდამ მიკვირდა როგორ გარისკეს ჰოლანდიელებმა ფრანგი ბიჭუნას აყვანა, როცა მათი მოწინააღმდეგე ფინალში ორო ფრანგი ეკიპაჟი უნდა ყოფილიყო! „ავარ პატარა კი იყო, მაგრამ განა პატარა ბიჭუნებს არა აქვთ ეროვნული სიამაყის და პატრიოტიზმის გრძნობა.

რა თქმა უნდა აქვთ და შეიძლება მეტიც, ვიდრე დიდებს, რომელთც უმეტესად სხვა მოტივები ამოძრავებთ, ძნელი დასაჯერებელია, რომ 10-12 წლის ფრანგი ბიჭუნა უცხოელებს თანამემამულეების დამარცხებაში გულანთებული მიეხმარებოდა! თუ ეს ბიჭუნა მართლა ფრანგი იყო, მართლა იცნობდნენ მას ფრანგი ნიჩბოსნები და მხოლოდ მისი წონის გამო დაიწუნეს, მგონია, რომ რაც იგი ჰოლანდიელებს ცაუჯდა ნავში და ფინალშიც გაამარჯვებინა. მის სახელ ს არავინ დაივიწყებდა.თუმცა მხოლოდ „მორალატედ" შერაცხავდნენ. ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ ჰოლანდიელებს ასე სერიოზულად გაერისკათ. მათ უბრალოდ გაუმართლათ, რომ არაფრანგი ბიჭი იპოვნეს. დღევანდელი გადასახედიდან ეს შეხედულება შესაძლოა, გაზვიადებულიც იყოს.

თუ ჩემი დასკვნები სწორია, უკვე დროა პატარა უცნობ ბიჭუნას სახელი დავარქვათ. და ეს უნდა იყოს მხოლოდ გიორგი ნიკოლაძე, რომელიც არა ფრანგი ან პარიზელი, არამედ ქართველი გახლდათ. ის მაშინ 12 წლისა და 29 დღის უნდა ყოფილიყო, და ამდენად, ყველა დროის უმრწემესი ოლიმპიური ჩემპიონია. უნდა დავამატოთ, რომ ჩამოთვლილი მიზეზების გამო გიორგი ნიკოლაძემ არაფერი იცნობდა თავისი წარმატების შესახებ.1931 წლის 5 თებერვალს 43 წლის ასაკში, იგი მოულოდნელად გარდაიცვალა პნევმონიისგანსამწუხაროდ მას არავითარი მემუარული ნაწერი არ დაუტოვებია.

ეს არის შემოკლებული ვერსია ჩემი გამოკვლევისა, რომელიც მას მერე რაც პირველად გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ჟურნალ „ოლიმპიელში". საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ 3 ჯერ დაბეჭდა ცალკე გამოცემად ქართულ და ინგლისურ ენებზე. გარდა ამისა იგი შეტანილია ოლიმპიური ჩანაწერების ჩემს ხუთტომეულში - „ხუთი რგოლი საქართველოსთვის".

მე მადლობელი ვარ აგრეთვე ბილ მელონისა, რომელმაც დაინტერესა ჯოშუა რობინსონი „უოლ სტრიტ ჯორნელიდან". დაწერა ჩემს გამოკვლევაზე და მისი წერილი 9 აგვისტოს გამოქვეყნდა. რობინსონის მასალა სკეპტიკური იყო თავისი ტონით და ავტორი ასკვნიდა, რომ ნაცვლიშვილის გამოკვლევას აქვს ერთი ნაკლი, იგი შეიძლება არასწორი იყოსო.მას რათქმა უნდა შეუძლია ასე იფიქროს, მაგრამ აშკარად ბევრ უფრო არასწორია, რომ „უცნობი ფრანგი ბიჭუნას" ნაცვლად ოლიმპიურ ჩემპიონად ჰერმანუს ბროკმანი გამოცხადდეს.

იგი სწორად აღნიშნავს, რომ ჩემი გამოკვლევა ეფუძნება ინტერვიუს ნიკოლაძის დასთან, რომელიც „საფრანგეთში ნავებით შეჯიბრებაში" მის გამარჯვებას იხსენებს. და რატომ არის ეს არგუმენტი მიუღებელი? ნუთუ ეს საკმარისი არ არის ფაქტის დასაჯერებლად? საზოგადოდ მგონია სიტყვა „ვერდიქტი" მეტისმეტად კატეგორიულია ამ შემთხვევაში. მაინტერესებს როგორი იქნებოდა რეაქცია ვინმეს რომ დარწმუნებით განეცხადებინა, რომ ამ ფოტოზე ჩემი დიდი ბაბუაა აღბეჭდილიო.

რუსლან რუსიას ხსოვნას
ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი - ცოტნეიდელი, დიდი ერისკაცი-დიდი ჟურნალისტი და მოქალაქე

შესავლის მაგივრ

როგორ უმოწყალოდ მიგვაქანებს ქვეყნიერების აღსასრულისაკენ დრო მუხანათურად გამშეტებელი და ფიქრი მძიმე... ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, სამწუხაროდ, რეგრესირდება ზნეობა და სულიერება. სადღეისოდ, ერთი მცდარი ნაბიჯიც კი კმარა იმისათვის, რომ პიროვნება დროში მისივე დაშვებული შეცდომების მიზეზებით, ბოროტების ტყვე გახდეს და გადაიქცეს მონად, რამდენადაც დაკარგავს რა პიროვნულ თავისუფლებას და სირაქლემასავით ქვიშაში თავჩაფლული დაიმედდება – ყველაფერი ჩემს გარშემო კარგად არის, მე ხომ ვერაფერს ვხედავო. შედეგად, უმალვე დაკარგავს მშობელ ერში წინათ მოპოვებულ დამახურებულ ნდობასა და პიროვნულ თავისუფლებას. დამოუკიდებლობის სანაცვლოდ, ამაქვეყნად შემორჩება მხოლოდ მორჩილების მონური ღიმილი, რადგან ყოველივე მიუღებელს მისივე შემგუებლობით აკადრებენ და მასვე გადმოაბრალებენ. ასეთი იყო, არის და მომავალშიც გარდაუვალია საზოგადოებაში ბოროტებისა და ყოველივე მიუღებლის აღმოფხვრა სუფთა ხელებით, მართალი გულითა და სულით უკომპრომისო არგუმენტირებული შებრძოლების გარეშე... ფრთხილად ქართველებო, ფრთხილად! გვფარავდეს უფალი – იესო ქრისტე. ამინ!

ჩემი მოუშუშებელი სულის ტკივილი, ხსოვნა გულისა, სულმნათი შეუცვლელი მეგობრის, ძმადნაფიცობის ფრიადოსნის, გულმხურვალე ცოტნეიდელის რუსლან რუსიას უკვდავი ხსოვნისადმი ამ შესავალით იმიტომ დავიწყე, რომ ერსაც, ქვეყანასაც, მართლმადიდებლურ მრწამსსაც და თვით საზოგადოებასაც დაცემის ჟამს მხსნელად და მაგალითის მიმბაძველობით ორიენტირად ღმერთის მადლით მოევლინებიან ხოლმე სწორედ დამოუკიდებელი, პრინციპული, ინტელექტით დამშვენებული პატრიოტი პიროვნებები – მოღვაწე მამულიშვილები, გულწრფელი და გულმხურვალე – ცოტნეიდელები: „აღმსარებლები მცნებათა უფლისა და დამდებელნი სულისა თავისისა, საქართველოსა და მოყვასთათვის“, სრულიად საქართველოს ზნეობრივ-ეროვნული გმირის, წმინდანად კანონზომიერებულის, ერისთავთ-ერისთავის ცოტნე დადიანის მიმდევრების სახით. ასეთ ლიდერთა რიცხვს დამსახურებულად მიეკუთვნებოდა სულმნათ რუსლან რუსიას მთელი ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა, მისი დამრაზმელი პიროვნული ფენომენი. იგი გახლდათ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორის პირველი მოადგილე, რედაქტორი. ჟურნალისტიკის დარგში შეტანილი პირადი, განსაკუთრებული წვლილისათვის დაჯილდოებული იყო „ოქროს ფრთით“. 1996 წლის ივნისიდან დღემდე ერთხმად იყო არჩეული ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ვიცე პრეზიდენტად, პრეზიდიუმის წევრად, აკადემიკოსად. წარმატებითა და მისთვის ხვეული თავდადებით ხელმძღვანელობდა ფაზისის აკადემიის თბილისის სათაო ორგანიზაციას.

ჩვენი პირველი შეხვედრა ქ. ხობში 1978 წელს ზაფხულში შედგა, სადაც სრულიად ახალგაზრდა ვთაკაცობდი რაიონს. რედაქტორის დავალებით საგაზეთო პუბლიკაციის თემა გამაცნო: „ორი რაიონი ერთი ცის ქვეშ და მიღწეული შედეგები აბაშის რაიონსა და მეზობლად მდებარე ხობში.“ მოგეხსენებათ, სოფლის მეურნეობაში მატერიალური სტიმულირების საკავშირო ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელებულ აბაშის მეზობლობა საინტერესოც იყო და საპასუხისმგებლოც. რადგან ყველა საგეგმო პარამეტრებით შედარებები კეთდებოდა აბაშასთან, მოთხოვნით - თუ იქ შეძლეს, თქვენ რატომ ვერ იმეორებთ მეზობლის მიღწეულ შედეგებსო. ეს რიტორიკული კითხვა დამოკლეს მახვილივით კოლხეთის დაბლობზე მდებარე რაიონებს უდმივად დიდ საფიქრალ-საზრუნავში გვამყოფებდა... მახსოვს სულმნათი რუსლანის სიხარულით, მზრუნველობით, გულშემატკივრობითა და სიკეთით აღსავსე გაბრწყინებული თვალები და სიამაყით რამდენჯერმე რომ გამიმეორა შეკითხვა: მართალია, რომ ხობელებმა გადაწყვიტეთ ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმა ყველა პარამეტრებით ოთხ წელიწადში შესრულოთ და მეხუთე წელი ზეგეგმიური ვალდებულებების შესრულებას მოახმარეთ? როდესაც ჩემგან ასევე რამდენჯერმე მიიღო დადებითი პასუხი გადამეხვია და ალალად მითხრა – თქვენ სიტყვა არ გატეხოთ და მიღწევებზე საგზობრივი პროპაგანდა ჩემზე იყოსო. ორთავემ მიცემული სიტყვა პირნათლად შევასრულეთ... ნათელში ამყოფოს ღმერთმა აწ განსვენებულის ღვაწლმოსილი და ვალმოხდილი მამულიშვილის გულმხურვალე ცოტნეიდელის უკვდავი სული. ხეციურ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ...

მიუხედავად ჩვენი დიდი უანგარო მეგობრობისა, სადაც მიმუშავია არ მახსოვს ხობზე, ფოთზე, აჭარაზე მიძღვნილ პუბლიკაციებში გულშემატკივრული ტაქტით არ ჩაერთო კრიტიკული შენიშვნები, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, მათი შესრულებისა და კეთილი გულშემოტკივრობით ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების გზებით... არადა, ეს ყველაფერი რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტის შენიშვნები გახლდათ. ბიჭი იყავი და ყური არ მიგეგდო მათთვის, რადგან, შეუსრულებლობის შემთხვევაში, ერთი ნაბიჯიღა გაშორებდა საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს სამდივნოზე, ან ბიუროზე საკითხვის განხილვისაგან. „ვახ, დრონი, დრონი...“

მართალია, აბაშის ცნობილმა ექსპერიმენტმა საკავშირო აღიარება მოიპოვა, მაგრამ ხობში პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძის ჩაყვანილი, რეკომენდებული და ერთხმად არჩეული გახლდით. რაზედაც ამ დიდი ნდობის გამართლებით უნდა მეპასუხა და რასაც სულმნათი ბატონი რუსლანი დღენიადაგ შემახსენებდა ხოლმე თავისი საქვეყნო პუბლიკაციებით... მართლაც და... „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდა, გული მისცეს გულისათვის – სიყვარული გზად და ხიდად“. ამინ! ბრძანებდა იგი და თავისი ცხოვრებით, შემოქმედებითა და უანგარო მოღვაწეობით. მუდამ მიდასტურებდა...

იგი წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში მისი ყოვლად მაღალუსამღვდელოესობის მეუფე დანიელის რეკომენდაციითა და ფაზისის აკადემიის თხოვნით, მიიღო და გულითადად დალოცა სრულიად დაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ აღმშენებელმა, ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტმა, რომელმაც როგორც შვილობილს აღუთქვა მას, რომ დღენიადაგ ილოცებდა მისთვის და მისი საფიცარი ოჯახის მომავალ ბედნიერებაზე, შვილების დაოჯახებაზე, შვილიშვილების შეძენაზე, მათი ერის შვილებად აღზრდა – ჩამოყალიბებაზე...

აქვე მსურს წარმოგიდგინოთ სულმნათ ბატონ რუსლან რუსიას პიროვნული, მისთვის დამახასიათებელი ცხოვრებისეული და საზოგადოებრივ შემოქმედებითი მოღვაწეობის ზოგიერთი მიდგომები, პრინციპები, და მრწამსი, რაც, ვფიქრობ, ქართულ პრესაში დღემდე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებთან ერთად დაგვეხმარება მ.შ. უპირველესად შვილებს, ოჯახსა და ახლობლებს ღრმად წავწვდეთ განსვენებულის სულსა და ბუნებას, ადამიანური სიხარულითა და ტკივილებით დახუნძლულს, იმიტომაც, რომ ბატონი რუსლანი, ძმადნაფიცობის ჭეშმარიტი ფრიადოსანი – ცოტნეიდელი, ხშირად მიზიარებდა გულისნადებს, რადგან მას სწამდა, რომ სინდისი, ზნეობა, პატრიოტიზმი და ქრისტიანული მრწამსი - ეს ღვთის ნებაა და ხმაა, ასეთი ადამიანების სულსა და გულში აღმოცენებული და მათ ჯიშსა და გენეტიკაში ჩაქარგულ-ჩაკირული. ასეთმა ერისკაცებმა კარგად შეითვისეს, რომ უსამართლობასთან შეგუება, მით უფრო მშვიდობიანი თანაარსებობა, თავად არის ბოროტებასთან შეგუება, რაც, ბუნებრივია, დიდი ცოდვის შემცველია. ამიტომაცაა, რომ ასეთი ღირსეული ადამიანები, პიროვნებები, დროში მუდამ ებრძვიან ბოროტებას, რადგან სხვაგვარად მისი ჭეშმარიტი ხელშემწყობები გახდებიან. ეს კი ადამიანში ყოველგვარ ეშმაკეულის ჩახახვას ნიშნავს და რისთვისაც ღღენიადაგ თავადვე მოისწრაფის ბოროტება. ამასთან მნიშვნელოვანია ცხოვრებაში წამოჭრილი ყოველი პრობლემის სამართლიანად მოგვარებისათვის ვიქონიოთ, რკინისებური ლოგიკის საფუძველზე, მიზეზ-შედეგის გაანალიზებით, ერთადერთი სწორი პოზიცია, რომ მივაღოთ სწორი გადაწყვეტილება სიკეთის სასარგებლოდ.

ადამიანები შეცდომებს ხშირად სუბიექტური ემოციების გამო გუშვებთ, არ ვფლობთ რა ამომწურავ ინფორმაციას ჩამოჭრილი წინააღმდეგობის, თუ გადასაჭრელი პრობლემის გარშემო... არ უნდა დავივიწყოთ ის ჭეშმარიტება, რომ ცხოვრების მორევში დინების საწინააღმდეგოდ ცურვისას ასეთი ადამიანები წინსვლის ნაცვლად უკანვე, წარსულში მიექანებიან... რადგან „მხოლოდ მკვდარი თევზები მიყვებიან დინებას“... აქვე დასძენდა, რომ ცხოვრებაში, როცა გაჭირვებისას შენ ვერ ირჩევ შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის ღირსეულ გზას, მიენდე ერთგულ, საქმით გამოცდილ მოყვასს და მის რჩევებს. თან ნუ დაივიწყებ, იქვეა ჩასაფრებული ბოროტეულიც, რომ დაიბუდოს შენში, შეგაცდინოს და დაგდუპოს. უნდა გვჯეროდეს, ვერასდროს ვიხილავთ ზეცაში იმედის ცისარტყელას, ღვთის ხსნის ზეციურ ნიშანს, თუ მუდამ ყმა-მონასავით თავდახრილი, მუხლებზე დაჩოქილი ვხოხავთ და მუდამ მიწას დავყურებთ, წაქცევა მაშინ არ არის ტრაგედია, რადგან მუდამ წამოდგომა და გაძარჯვება გსურს... ამიტომ ნუ იქნებით „მდაბალნი სულითა და ცოდვილნი, მოშიშნი ხორცითა...“ ჭეშმარიტების მისაგნებლად და ბოროტებასთან შენი სიმართლის გასაძარჯვებლად, ღვთის მადლის, ღვთის ნიჭისა და ღვთის ძალის შენზე გადმოსასვლელად შენივე სიკეთითა და სულიწმინდის ტაძრად ქცეული გულითა და სულით თავად უნდა იყო მზად მაღალი ღირსებითა და რწმენით... ამქვეყნიური ბედნიერება სიყვარულსა და ერთგულება-თავდადებაშია საიმედოდ ჩაქარგულ-ჩაკირული. იგი იხსნის მსოფლიო ცივილიზაციას, განავითარებს რა მას. ამასთან, მსოფლიო კატასტროფის, დიდი უბედურებების, ნგრევისა და დაქცევის უპირველესი მიზეზთაგანია ადამიანის სულმდაბლობა, ამპარტავნობა და შური, უკურნებელი ავადმყოფობა სხვისი კარგად ყოფნის მიზეზით წარმოქმნილი და ჩაბუდებული შენში. ხსნა-გამოსავალი ადამიანებს შორის ღირსეულ კონკურენციაში, ნიჭიერთა შესაძლებლობების ღირსეულ შეჯიბრშია. მართლაცდა, „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზეცა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“. გავიხსენოთ, როდის გვაფრთხილებდა ამ ჭეშმარიტების თაობაზე ლექსში „სადღეგრძელო“ ჩვენი ერის ერთ-ერთი ღირსეული მამულიშვილთაგანი, სულმნათი გრიგოლ ორბელიანი... მართლაცდა, „ნეტარნ არიან, თვინიერნი და მოწყალენი, გადამრჩენი რჩევითა“... „ნეტარნ არიან გულწრფელნი და სუფთა გულის მქონენი“, რასაც სჭირდება სუფთა ხელები, განწმენდილი სული და გონი, სიმამაცე, თავდადება ცხოვრებაში, თუ შეიქმნება საჭიროება, თავგანწირვაც კი ბოროტებაზე სიკეთის გასამარჯვებლად - ფარისევლობასა, ორგულობასა და მუხანათობაზე, ე.ი. შადიმან – ფარსადანობის სინდრომზე, სიმართლის, ჭეშმარიტების, სამართლიანობის, ანუ ჭეონდიდელ-ცოტნეიდელობის გასამარჯვებლად. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საჭირო დროს საჭირო კაცის საჭირო რჩევა, შველას მაძიებელი და მომლოდინე მოყვასისათვის ვერ აიწონება ვერც ოქროთი და ვერც შეფასდება ფულადი ღირებულებით... იგი ღვთიური, ხსნის უძლეველი მარადიული მადლია, ჩვენზედ გარდმოსული, სიმართლისათვის ბრძოლის სურვილის გამარჯვებისათვის ძალის მომნიჭებელი. ყოველივე ამას კი, ნუ დავივიწყებთ, ეს მუდამ უნდა გახსოვდეს, ღვთის ხატო და სახეზავ, ადამიანო! დავიმახსოვროთ, რომ „სინახული დაშვებული ცოდვების მონანიებაშია და იგი არ გადავდოთ ხვალისთვის, ვინაიდან წუთისოფლის სტუმრები ვართ და ამან უნდა დაგვაფიქროს, რადგან, როცა გარდაუვალი სიკვდილი დგება, მხოლოდ მაშინ თავისუფლდება სრულად ბოროტი ადამიანი შურისა და სიძულვილისაგან. კეთილ, მორწმუნე ადამიანს კი ბოლომდე იცავს მფარველი ანგელოზი. ამინ! ბოროტის აღგილსამყოფელი საიქიოში ჯოჯოხეთშია, კეთილის კი სამოთხეშია. სადაც მართალნი განისვენებენ. ამინ!

ცხოვრებაში მთავარია დააფასო ის, რაც შენთვის გააკეთეს და სათანადო პატივი მიაგო მათ, ვინც ეს გააკეთა, რადგან ყველაზე დიდი ცოდვა უმადურობა და მეფროვეობაა. სულ სხვის „მოწველას“ ნუ შეეცდები, მუდამ ნუ გექნება, ხელი გაშვერილი დახმარების ძახილითა და მოლოდინით. შენ თავს შეახსენე, რომ ოდესმე შენც უნდა გახდე მოყვასისა და გაჭირვებულისთვის დამხმარე, უანგარო სიკეთის კეთებით ბედნიერი. იყავი რეალისტი, რადგან მხოლოდ ბრიყვი მოიწადინებს და იოცნებებს იმაზე, რაც არ შეუძლია მიიღოს და რაც, პრაქტიკულად, მიუღწეველია მისთვის. პატივი მიაგე და დააფასე ერთგულება და თავდადება, ნუ იქნები უმადური, ეგოისტი, სუფთა შენს თავზე მზრუნველი. მხოლოდ შენი მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისათვის შემართული. მუდამ გახსოვდეს, თუ ვინძესგან გულმხურვალე სიყვარულითა და ყურადღებით ხარ დავალებული, ეცადე ვალი კაცურად გადაიხადო, წინააღმდეგ შემთხვევაში, გული განსაკუთრებით აფორიაქებული გექნება, სულიერად ვერ დამშვიდდები შენ და შენი ნაშიერი ვერ შეირგებს მადლს და მთელი ცხოვრება შეგაწუხებს, ღირებულისა და ღირსეულის შენგანვე სათანადო პატივგების გარეშე დავიწყება. ემსახურე ღმერთს, მამულსა და მოყვასს, იღოცე მათთვის და იმათთვისაც, ვინც უსამართლოდ მოგექცა, გული გატკინა და გიღალატა კიდეც... ღმერთი მაღალია და ჩაგენილი ცოდვა-მადლი მუდამ განკითხვისა და დალოცვის მოლოდინით, მიზეზ-შედეგის რკინისებული ლოგიკით, გარდაუვალობაშია. ემსახურე სიკეთეს, სამართლიანობის აღდგენას, სიმართლეს - ეს ზნეობრივი ფასეულობები მარადიულია, უკვდავია, რაც არ უნდა ღრმად დამარხონ, კვლავ დაიბადება და იქ გამოგეცხადება, სადაც არ ელი, მაგრამ გულით ოცნებობ და გსურს. დამეთანხმებით, კომპრომისი ნებისმიერი სახით თუ დოზით მორალთან, ზნეობასთან, სიმართლის მსახურებასთან ყოვლად დაუშვებელია. ქართველობა და მართმადიდებლობა იდენტურია, ნებისმიერი კომპრომისი დიდი, გამოუსწორებელი ცოდვაა და ერთადერთი ხსნა სულიწმინდის ტაძრად ქცეული გულის გადასარჩენად, ამ ბოროტებასთან გამიჯვნაში, მხილებასა და უკომპრომისო ბრძოლაშია. სამყარო აბრ არის დაყოფილი ცუდებად და კარგებად, ყოველ ადამიანშია ნათელი და ბნელი. აქ განმსაზღვრელია არჩევანი სიკეთის, აღმშენებლობის, სიყვარულის სასარგებლოდ...

სულმნათმა ბატონმა რუსლანმა თავის ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში პირნათლად გაითავისა, რომ ჯიში, ადამიანის გენეტიკური კოდი, ფინასწარ განსაზღვრულია პიროვნებისათვის. მართალაცდა, განა მარტო წრთვნა რას შველის, თუ ბუნებამაც არ უშველა. პიროვნებებად, ლიდერებად, ერისკაცებად არ ხდებიან, ისინი ღვთის ნებითა და წყალობით იბადებიან... მთავარია შეიმეცნო, რომ განმსაზღვრელი აქ ხარისხი, შინაარსია და არა ფორმა. ჭეშმარიტება მუდამ იმით არის საინტერესო, რომ იგი მუდამ აქვეა, თქვენს გვერდით. გადამწყვეტია, ჩვენ გვქონდეს სურვილი მისი მსახურებისა. უიმედობა, ეს ცხოვრების დასასრულს ნიშნავს, იმედი კი, ეს სიცოცხლეა... დიდი ალექსანდრე მაკედონელის მემატიანე გვამცნობს, რომ ერთხელ იმპერატორს ნისლიან ღამეს ტყეში გზა აებნა და სრულიად უცხო მხარეს და გარემოში მოხვდა, იმედი არ დაკარგა და, რადგან სამხედრო საქმის გარდა არაფრის კეთება არ შეეძლო, ბუნებრივია რიგით ჯარისკაცად აღგიღობრივ ჯარში ჩაწერა. როცა ერთი კვირის მსახურებისთვის გასამრჯელო აიღო, დახედა მონეტებს და მათზე მისივე უდიდებულესობის, იმპერატორ ალექსანდრე დიდის გამოსახულება შენიშნა. ანეთია ცხოვრება, ის მუდამ ზამბარის წრეზე მოძრაობს და არავინ იცის აღსასრული, ღმერთისა და მფარველი ანგელოზის გარდა...

ბატონი რუსლანი როცა დაიბადა, გარე სამყაროსთან პირველსავე შეხებისას, სააქაოს პირველსავე შეგრძნებისას, პირველი ნაბიჯის გადადგმისას ატირდებოდა ხოლმე, ახლობლები, გარემოცვაში მყოფნი კი სიხარულითა და ბედნიერებით იცინოდნენ, ისე უნდა იცხოვრო, რომ სააქაოდან ზეციურ სასუფეველში გარდასვლა-გარდასახვისას, ახლობლები განშორებით გამოწვეული სულისა და გულის ტკივილის გამო ტიროდნენ და შენ კი ვალმოხდილი, ღირსეული ცხოვრებით ამაღლებული, ზეციდან ღიმილით დასცქეროდე მათ. ხნეობა, სულიერება, პატრიოტიზმი გაქრება, რაც მტრის და მოშურნის ოცნებაა, თუ ჩვენ სისტემატურად, შეგნებულად არ ვიზრუნეთ მათი შენარჩუნება-განმტკიცებისათვის. ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად, რადგან მტერმა იცის, რომ ამ ღირებულებების გარეშე მყოფი ხალხების მუხანათურად მართვა-გამგებლობა ადვილია, რამაც უნდა დაგვაფიქროს... არადა, „ერს ვერაფერს დაუძალავ, გაიგებს, გამოფხიზლდება და დაიქუხებს“ (ვაჟა-ფშაველა). საბედნიეროდ, ჭეონდიდელი გვყავს ილია II აღმშენებლის სახით, ოღონდ ესაა, რომ დავით აღმაშენებელის მოლოდინში ვართ ერიც და ბერიც კარგახანია... როდემდე?! ეს მხოლოდ ღმერთმა იცის! ამინ! დაგვემსახურებინოს ერსაც და ბერსაც... ეს სანანატრელი მადლი. ამინ!

გვახსოვდეს რომ ბოროტებას არა აქვს სიმდერა, იგი მუდამ ტირის, თავისი ცოდვების გამო. ეს სიკეთეა რომ მდერის ამაღლებული სულიერებით, უანგარო სიყვარულით, გაბრწყინებული და აღმაშენებელი. თუ გინდა იყო გამარჯვებული, შენ თავთან მართალი და ბედნიერი... მართლაც მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ, ეკარქაშო ხმალმა. მათ შორის, ცოდნის ხმალმა, წიგნმა და გუთანმა გვატარა ისტორიულად და დღემდე მოგვიყვანა ქართველობა. გახსოვდეთ, ღღეს სწორედ განათლება, წიგნია ქვეყნის საიმედოდ დაცვის გარანტი... გახსოვდეთ, უფალი იესო ქრისტე, ადამიანებისაგან გახსნავვების, არასოდეს ტოვებს მის მიერ შექმნილ სახეებას – ადამიანს. სულიერებით, ზნეობით, პატრიოტული შემართებით დამშვენებულს... სუსტი კაცი პატივმოყვარეა და ყველაზე ჯიუტი, რადგან მას სიჯიუტე ძლიერებაში ერევა... ამან კი უნდა დაგვაფიქროს. ამ სენის წამალი ჩვენშივეა, რამეთუ თავი უნდა დავიმდაბლოთ და სიხარული შემოანათებს ჩვენს გულში.

ამასთან, არასდროს დაჰკარგოთ მადლიერების გრძნობა. რადგან ყველაზე დიდი ცოდვა ცხოვრებაში, ეს უმადურობაა, არასოდეს დაივიწყოთ ისინი, ვინც უანგაროდ დაგეხმარათ, იყავით მათ მიმართ გულისხმიერნი, კაცური ვალის უანგარო სიკეთითვე გადახდის მზადყოფნით. რაც, დავიწყებას არ ექვემდებარება... ლოცვებში ყოველდღიურად მოიხსენეთ გარდაცვლილთა უკვდავი სულები და ზეციურ სასუფეველში შეავედრეთ მაღალ ღმერთს მათი ნათელში ყოფნა. ამინ! გახსოვდეთ, მოუსმინეთ და ყური მიაპყარით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II აღმაშენებლის – ქვეყნისა და ერის სულიერი მამისა და მოძღვრის სწავლებებს-ქადაგებებს, იმიტომაც, რომ განსაცდელის ჟამს კათოლიკოს-პატრიარქი პირველი იღებს დარტყმას თავის თავზე, რათა იგი ააცდინოს ქვეყანასა და ერს, თვითშეწირვითაც კი. საქმენი საგმირონი კი რჩება, არასოდეს კვდება, რადგან ღვაწლი ხალხის გულში ცხოვრობს მარადიულად და იგი მუდამ უკვდავია, რადგან მათზე გარდმოდის უფლის სულიწმინდის მადლი, რწმენისა და წყალობის ძალით უფლისავე სახლში – ტაძარში. ვისწავლოთ ერთმანეთის ხედვა წრფელი გულით, თუ გვსურს გადავრჩეთ ამ ულმობელ და ფათერაკებით სავსე ცისქვეშეთში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს გონებას, მას, ღვთის წყალობითა და ნებით, სულიწმინდის ტაძრად ქცეული ჩვენი გული უნდა მართავდეს აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, თუ ჩვენ, გვსურს მუდმივად დავრჩეთ სწორედაც ადამიანებად. ამინ!

ჩვენდა იმედად ასეთია ჩვენი გულმხურვალე და გულწრფელი ხედვა ღვაწლმოსილი და ვალმოხდილ სულმნათ – ბატონ რუსლან რუსიასათვის დამახასიათებელი, ავტოპორტრეტის გაანალიზებით დამშვენებული და ცხოვრებითა და ხსოვნით დადასტურებული. ამინ! რადგან ყველა ამ დადებითი თვისებების პრაქტიკულად მატარებელია გარდაცვლილის ჭეშმარიტად ქართული ტრადიციების სასახელოდ მატარებელი ოჯახი: მეუღლე... და შვილები, და-ძმა... რომლებიც, მჯერა, ღვთის წყალობით, მალე აუსრულებენ საფიცარ და უსაყვარლეს მამას უკანასკნელ თხოვნას დაოჯახების, შვილიშვილებით გვარის გამრავლების თაობაზე და მათში მომავალი რუსლანის კვლავ დაბადების სახეებით...

,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი, სიერმის უღალატო მეგობარი

ნუგზარ ნადარაია

ქრისტესშობიდან 2017 წლის 27 იანვარი

ნინოობის ბრწყინვალე ღღესასწაული

თბილისი, მცხეთა, ფაზისი, გელათი, იყალთო, ზუგდიდი, აბაშა.

P.S. მასალა დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 27-28 იანვრის ნომრებში.

კაცობისა და მეგობრობის ეჭალონი ზაურ ლაბარტყავა



სახელოვან ქართველ მშენებელთა კოჰორტის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საქართველოს დამსახურებულ მშენებელ ინჟინერს, ვალმოხდილ მამულისვილს აღიარებულ შემოქმედს და ქველმოქმედს, მეგობრობის ბაირახტარს, ჭეშმარიტად ეროვნულ კაცს, ქართული ტრადიციების ერთგულ გუშაგს და ტრადიციული ოჯახის თავკაცს, ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილ, ღვთივკურთხეულ პიროვნებას, ,,ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსს, სპეტაკ პატრიოტ ქართველს ზაურ ევგენის ძე ლაბარტყავას -75 წელი შეუსრულდებოდა.

იგი ამქვეყნად თავდადებული შრომისათვის, ერისა და ქვეყნის უანგარო სამსახურისათვის იყო მოვლენილი. ამაზე მეტყველებს მის მიერ სახელოვნად და საამაყოდ განვლილი გზა.

ზაურ ლაბარტყავა დაიბადა 1942 წლის 16 იანვარს ქალაქ ფოთში. 1959 წელს დაამთავრა ფოთის მე-2 საშუალო სკოლა, ხოლო 1966 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პირველი პროფესიული ნათლობა მიიღო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში თბილისის მეტროს მშენებლობაზე, პრაქტიკაზე ყოფნის დროს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების საფუძველზე 1966-1995 წლებში მუშაობდა გაერთიანება ,,საქჰიდროენერგომშენის" სისტემაში; საამსენებლო საქმიანობას ეზიარა 1966 წელს ,,ენგურჰესის" მშენებლობაზე. 1968 წელს გადაყვანილ იქნა გაერთიანება ,,საქჰიდრომშენის" სამმართველოში. საგულისხმოა, რომ ,,ჟინვალჰესის" და ,,ზაჰესის" სოციალურ-კულტურული და საბინაო დანიშნულების ობიექტები აშენებულია მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ამ მშენებლობათა ხარისხიანად შესრულებისა და ვადაზე ადრე ჩაბარებისთვის მას მიენიჭა ,,საქართველოს დამსახურებული მშენებლის" წოდება.

1995-2000 წლებში ზაურ ლაბარტყავა მუშაობს გაერთიანება ,,საქგვირაბმშენის" ფილიალ ფოთი-პორტმშენის გენერალურ დირექტორად. ამ პერიოდში იგი კვლავ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო სტარტეგიული ობიექტების მშენებლობაში. სახელდობრ -სუფსის ტერმინალის, ფოთის პორტის ნავთობის ტერმინალის, პირველი, მეორე და მეოთოთხმეტე ნავმისადგომის მშენებლობასა და რეაბილიტაციაში. მას, ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი რკინიგზის ბორნის მშენებლობაში. საქართველოში სამოქალაქო, სამრეწველო-ენერგეტიკული, სატრანსპორტო, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ზაურ ლაბარტყავა 1999 წელს ,,ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა. აღსანიშნავია რომ, დღეს ფოთის ნავსადგურში ბევრი გემი თავის ღუზას უშვებს ბატონი ზაურის რეაბილიტირებულ ნავმისადგომთან. ამდენად იგი დიდი ნიკო ნიკოლაძის საქმის მემკვიდრე და ერთგული გამგრძელებელიც იყო. ქალაქისა და ქვეყნისადმი მისი გამსაკუთრებული სიყვარულის, თავდადების წყაროს და ლაიტმოტივს წარმოადგენდა ნიკოლაძისეული ხატოვანი და ფრთიანი ფრაზა: ,,მე შენ მიყვარდი,შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო." ის გარემოებანი, სადაც ბატონ ზაურ ლაბარტყავას ადამიანური თვისებები და პრინციპები ყალიბდებოდა, ყოველთვის უაღრესად ადამიანური და მიმზიდველი იყო. ამიტომაც მისთვის ადამიანობა ყველაზე დიდ თანამდებობად ითვლებოდა.

სკოლის, უნივერსიტეტის მერხიდან დაწყებული, ცხოვრების დიდ გზაზე მისი დიდი მასწავლებლები იყვნენ: პორფილე ბარამიძე, ნიკოლოზ თევზაძე, ვასილ ყავლაშვილი, მიხეილ ცისკარიშვილი, ავთანდილ ჩალაძე და სხვები. ამიტომაც მას თამამად და დიდი სიამაყით შეეძლო გაემეორებინა ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები: ,, მე ჩემმა მშობლებმა მაჩუქეს სიცოცხლე, მასწავლებლებმა კი ცხოვრების ღირსი გამხადეს".

2000 წლიდან იგი იწყებს ბიზნესსაქმიანობას, ქმნის საკუთარ ფირმას ,,ფაზისი 175/2",სადაც გენერალურ დირექტორად მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. ბატონი ზაურ ლაბარტყავა გამოირჩეოდა არამარტო მაღალი კლასის პროფესიული და მშენებლის, არამედ ასევე კეთილშობილი ადამიანური და პიროვნული თვისებებით.ოჯახიშვილობა, პატრიოტიზმი,უბრალოება, თავმდაბლობა, განათლება, შინაგანი კულტურა, მაღალი პასუხისმგებლობა და დიდი საქმეების უხმაუროდ კეთება, მისი დამახასიათებელი თვისება იყო. ის ქრისტეს ათი მცნებით ცხოვრობდა, მისთვის ,,მამული, ენა, სარწმუნოება" ყველაფერს წარმოადგენდა. ცხოვრებაში საკუთარ თავს უბედნიერეს კაცად თვლიდა. მან შეძლო ამქვეყნიური სიამტკბილობა ჭეშმარიტად ეგრძნო და განეცადა.

მისი ლამაზი და საამაყო ოჯახიმეუღლე, შვილები,ორივე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, შვილიშვილები ამის ნათელი დადასტურებაა. მასთან შეხვედრები ყოველთვის საზეიმო ხასიათს ატარებდა. უყვარდა მასპინძლობა და თავკაცობა. ბუნებით მართლა ნიჭიერს და გონიერს, სავსეს სიკეთით და სიქველით, როგორც კარგ ქართველს და მგზნებარე კოლხიდელს, ყველაფერი შვენოდა... დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მას როგორც ქვეყნის ვალმოხდილ მშენებელს ,,ბევრი მაგარი ქვა ჩაუდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსავსებად".

ბატონი ზაური ლაბარტყავა იყო რაინდული სულის, კარგი ყმა, რომელსაც ყოველთვის კარგად ესმოდა ,,ხმა ღვთისა და ხმა ერისა". იგი ყოველთვის ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა. ,,საქართველო უპირველეს ყოვლისა"! - მისი ცხოვრების დევიზი იყო. ამ სიყვარულისთვის სიცოცხლე ღირდა... სამარადისო ხსოვნა მის ნათელ სახელსა და სულს, ამინ!

უახლოესი მეგობრები

სევდიანი მონატრება

მშვიდობით, დიდო ქალბატონო! ლეილა კაკულია

საქართველოში, მედეასა და თამარის სამშობლოში სახელოვან ქალებს რა გამოლევს, მაგრამ მათ შორის შენ, უპირველეს ყოვლისა ყველაზე განსაკუთრებული, ორიგინალური და ბრწყინვალე ქალბატონი იყავი. შენი ლამაზი ცხოვრებით, საკუთარ თავს სიცოცხლეშივე აუბე ძეგლი ხელთუქმნელი და უნეტარესი. შენი გარდაცვალებით ყველას დიდად დაგვწყვიტე გული. შენ ხომ ჩვენი მშობლიური ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე და ჩვენი თაობის ღირსეული და ბრწყინვალე წარმომადგენელი, მეგობრობის ბაირახტარი, გამოჩენილი სახელმწიფო, საზოგადო, პარტიული მოღვაწე და ჩინებული ინტელიგენტი, მგზნებარე კოლხიდელი, დიდი პატრიოტი და ქველმოქმედი ბრძანდებოდი. მაპატიე რომ ვერ გისრულებ შენს თხოვნას და ვერ გაცილებ შენს უკანასკნელ გზაზე, პირობას გაძლევ დაკრძალვის დღეს ტაძარში შევალ, შენთვის ვილოცებ, აგინთებ წმინდა სანთლებს, იმისთვის რომ უფალმა-ღმერთმა მარადიული სასუფევლისაკენ გზა გაგინათოს და იქ დაგიმკვიდროს. იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს შენს ნაჭრილობევ და სპეტაკ მკერდზე მშობლიური ქართული მიწა, რომელიც თავზე მეტად გიყვარდა და ყველაფერს აკეთებდი მისი დიდებისათვის.

და ბოლოს შენს პოეტურ სულს და ბუნებას მინდა ლექსით შევეხმიანო:

მშვიდობით, დიდო ქალბატონო,
ჩვენი ქალაქის მართლა მშვენებავ,
კოლხელ ქალებში გვირგვინოსანო,
შენ ერის ბურჯო და დიდებავ.
სამარადისო დიდება შენს ნათელ სახელსა და სულს.

გულთაჯ ლაბარტყავა

მილოცვა 90 წლის იუბილარს ტატიანა გურგენაძეს

17 თებერვალი შენი დაბადების დღეა, ჩვენო თბილო, საყვარელო ტატიანა.გილოცავთ ამ დირსშესანიშნავ თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულს შვილებთან შვილიშვილებთან, შვილთა შვილებთან ერთად.

ფოთში დაბადებულმა, ფოთში გაატარე შენი ცხოვრების ულამაზესი წლები და საუკუნის შესრულებაც მოგველოცოს შენს თვალწინ გაზრდილ და შებერებულ მეზობლებს.

უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით უახლოესი მეზობლები

მუზის სტუმრობა

სნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

ნაპო თოდუა

იმედი

იმედთან დაამყარილმა ერთიერულმის სვედრია,
აქ გარდა ვაქკაცმისა დიდ როლს თამაშმს მედია,
იმედი თავისით არ მოდის, ლოდინი აქ ზედმეტია,
იმრძოლე უკომპრომისოდ, დაგაიმედმს ღმერთია...

*****

სიკვდილის არსის განცოლმა დღემდე აუხსნელია,
რა ცოდვა დევს მნელ საქმეში, აქ სიცყვის თქმა ძნელია,
ამ სამყაროს რჩეულმმა, წინაპართა გენიამ,
განცოლმა ვერ ამოხსნეს, საქმე გაუხსნელია.

სნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

მილოცვა ინგა და ზურაბ აბრალავებს

დიდი სიყვარულით გილოცავთ 8 მარტის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალი წევრის, შვილიშვილის დავით ლეკიშვილის დაბადებას.

იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ.

თქვენი თაყვანისმცემელი
ნაზი მიმინოშვილი

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის ფოთის ორგანიზაციაში

გოგიცა ჩიტაია: ფოთში ძველი ,,ფაზისის" ნაქალაქარის შესახებ დადგა დრო პრაქტიკული კვლევებისა

ამასწინათ, გაიმართა ,,ფაზისის" აკადემიის ფოთის ორგანიზაციის (თავმჯდომარე დოდო ხუხია) მორიგი სხდომა. სადაც მოისმინეს ცნობილი მეცნიერისა და არქეოლოგის, ,,ფაზისის" აკადემიის აკადემიკოსის გიორგი ჩიტაიას მოხსენება ფაზისის მდებარეობის საკითხთან დაკავშირებით, რომლის ფოთთან იდენტურობა სამწუხაროდ ზოგიერთს საეჭვოდ მიაჩნია. აქვე გთავაზობთ მოხსენების შემოკლებულ ვარიანტს.

XIX საუკუნეში სიძველეებისადმი განსაკუთრებული დაინტერესება გამოავლინეს მოწინავე ქვეყნებმა: ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამ ქვეყნების არქეოლოგებმა მითები და ლეგენდები რეალობად აქციეს და მსოფლიოს გააცნეს შუამდინარეთის, ეგვიპტის, ეგეოსური სამყაროს კულტურები. ეს გვაძლევს უფლებას ვთქვათ ძველი კოლხეთი, მისი დედაქალაქი აია, ფაზისი, კოლხური დამწერლობა ზღაპარი არ არის, ბერძენი მწერლების ცნობები ნდობას იმსახურებს, მართალია ისინი ხანდახან მოვლენებს გაზვიადებულად აღწერენ, მაგრამ თვით ფაქტები და მოვლენები მათ მიერ დანახულ რეალობებს ემყარება. ამიტომ საჭიროა ინტენსიური კვლევაძიების ჩატარება. ძველი კოლხეთის მკვლევარებს უნდა ჰქონდეთ შლიმანივით ძლიერი-შეუპოვარი ხასიათი, ჭინჭველის შრომისმოყვარეობა და მიზნის სისწორის შეურყეველი რწმენა. ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია ისტორიული ძეგლებით, მათი ფიქსირება, შესწავლა და დაცვა თვითმიზანი არ არის.მას პრაქტიკული მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. საქართველოს უძველესი ურბანისტული ცენტრია ფაზისი. აქ მთავრდებოდა აღმოსავლეთიდან მომავალი აბრეშუმის გზა და აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეხვედრებისა და დიალოგის ადგილი იყო.

საეკლესიო გადმოცემებით პირველ საუკუნეში ქრისტეს მოძღვრება აქ ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. ადრე შუასაუკუნეებში ქალაქ ფაზისი, დღევანდელი ფოთი რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა, აქ იჯდა ეგრისის (რომელსაც ბერძნები ფასიზს უწოდებდნენ) მიტროპოლიტი. 692 წელს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრება და ხელს აწერს ,,თეოდორე ლაზთა ეპისკოპოსი ფასისელი'', ამ კრების ოქმის ქართულ თარგმანში აღნიშნულია ,,თეოდორე უღირსმანეპისკოპოსმანფასოისამან სოფელსა შინა მეგრელთასა განვსაზღვრენ და წარვწერენ''. 787 წ. მეშვიდე საეკლესიო კრებას ესწრება ფაზისის მიტროპოლიტი ქრისტეფორე.

სამწუხაროდ არის საფრთხეები რომლებიც განსაკუთრებულად ემუქრება კულტურულ მემკვიდრეობას, მთავარი მათ შორის ადამიანის სამეურნეო საქმიანობა და ბუნებრივ- სტიქიური მოვლენებია. სწორედ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად განადგურდა რომაული ხანის ფაზისი. 1959 წლებში ფოთის აეროდრომის მშენებლობისას დაუნგრევიათ ციხე, რომელსაც ,,ნაჯიხურს'' უწოდებდნენ. ნაჯიხური კი რიგ მეცნიერებს მიაჩნიათ ეგრისული პერიოდის ნაქალაქარ ფასისად.

ჩვენ არ შევუდგებით დაწვრილებით იმ წყაროებისა და ავტორების მიმოხილვას, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასია არიანეს ცნობები, რომელიც ფაზისში 131 წელს იმყოფებოდა და აგათიასი, რომელიც აქ 536-584 წლებში იმყოფებოდა.

ფაზისის უძველესი ნაქალაქარის მოძიებით დაინტერესება XIX საუკუნეში დაიწყო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიუბუა დე მონპრეს (1831-1834) მოღვაწეობა, მის მიერ დატოვებული სქემატური რუკა, რომლის მიხედვითაც სიმაგრე ოთკუთხა მოყვანილობისა ყოფილა, რომლის კუთხეებში აგურით ნაგები 40 ნაბიჯის სიგრძისა და სიგანის კოშკები მდგარა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ფაზისით დაინტერესდა ნ. შაფრანოვი. ის თვლიდა, რომ უძველესი ფაზისი საძებარი იყო პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაპირზე, ხოლო არიანეს დროინდელი ფაზისი ფოთის პირდაპირ მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე.

1952 წელს ნ. ლომოურს იმ ადგილას, რომელსაც ,,ნაჯიხურს'' უწოდებენ ადგილობრივი მცხოვრებლები და რომელიც მდებარეობს რიონის მარცხენა ნაპირზე, მისგან ხუთასიოდე მეტრის მანძილზე, 6 კმზე ფოთის პორტიდან აღმოსავლეთით მას თვით დაუთვალიერებია, ზედაპირულად გაუწმენდია ერთერთი შემაღლება და უნახავს თიხის ჭურჭლის ნატეხები და აგურები.

1970 წელს საცდელი თხრილი გაუჭრია არქეოლოგ გურამ გრიგოლიას, გამოვლენილა 4 უძრავი არქეოლოგიური ფენა, მას უნახავს იმპერატორ ადრიანესმონეტა (117-138 წწ), წითელლაკიანი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები, აგურები და კრამიტები, რომლებიც ახ. წ. III-IV საუკუნეებით თარიღდებიან.

ყველა მეცნიერი და მათ შორის შაფრანოვი, კუფტინი, ნ. ლომოური, მ. ბერძენიშვილი, გ. გრიგოლია აუცილებლად მიიჩნევდა ზემოთ ხსენებული ადგილის არქეოლოგიურ შესწავლას.

თემა-ძველი ფაზისი ცნობილია მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, მის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამეცნიერო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც. აღმოჩენის შემთხვევაში ფოთი, როგორც იტყვიან მსოფლიოს ერთ-ერთ არქეოლოგიურ და ტურისტულ ცენტრად გადაიქცევა. მართალია ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით ეკონომიკურად სუსტია, მაგრამ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი კონკურენტუნარიანობა და უპირატესობა: რომელიც უნდა დაეფუძნოს ჩვენს კულტურას, უმდიდრეს კულტურულმემკვიდრეობას, ნაკრძალებს, ბუნებრივ პირობებს.არ შეიძლება კოლხეთის ისტორიას სწავლობდე და ფაზისის თემა ღიად რჩებოდეს. ამიტომ საკმარისია ამაზე თეორიული მსჯელობა და კამათი, დასაწყებია პრაქტიკული მუშაობა. რა თქმა უნდა ეს საკითხი, ვგულისხმობთ ფაზისის მოძიებას ერთბაშად ვერ გადაწყდება, იგი მოითხოვს ხანგრძლივ მუშაობას, მაგრამ უნდა დავიწყოთ, ბოლოს და ბოლოს ეს პრესტიჟის საქმეც არის. ფაზისის, თუნდაც ეგრისული პერიოდის აღმოჩენა საქართველოს ისტორიის ბევრ ბუნდოვან საკითხს ნათელს მოჰფენს. არ უნდა ველოდოთ, რომ ამას ვინმე სხვა დაიწყებს, ეს საკითხი ჩვენვე უნდა დავსვათ ქალაქისა თუ მხარის ხელმძღვანელების წინაშე. მაგალითისათვის მინდა წარმოგიდგინოთ: წლებია მეზობელ მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით კი ხობსა და ზუგდიდში ყოველწლიურად ითვალისწინებენ თანხებს, რითაც სერიოზული აღმოჩენები გაკეთდა ცაიშში, ხობის მონასტერში, ერგეტაში...

ფაზისის ნაქალაქარიმნიშვნელოვანი თემაა საქართველოს ისტორიაში და არა მარტო, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც, ამიტომ ვფიქრობ ამ კუთხით უმოქმედობა დანაშაულია როგორც მომავალი თაობების ასევე ჩვენი წინაპრების წინაშე.

მილოცვა

დიდება თქვენ - სამშობლოს ჯარისკაცებო!

ბატონ ტარიელ ყარამანის ძე დემურიას დაბადების 94-ე წლისთავთან დაკავშირებით!

თითქოს გუშინ იყო დაბადების 90 წლისთავი რომ მოგილოცეთ სამშობლოს დირსეულ შვილს, მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთ მოჰიკანს! უკვე 4 წელი გასულა და 2017 წლის 10 თებერვალსაც მინდა მოგილოცოთ თქვენი დაბადების 94-ე წლისთავი.იმედს ვიტოვებ ასევე მხნედ განვლით კიდევ არაერთ წელს და თქვენი საუკუნოვანი იუბილის სიხარულსაც გვაჩუქებთ. გიძღვნით ჩემი 4 წლის წინანდელი მისალოცი ადრესის უცვლელ ტექსტს - სიყვარულის, პატივისცემის და მოკრძალების ნიშნად!

რამდენი რამის გახსენება შეუძლია ბატონ ტარიელს თვალწარმტაც აფხაზეთში, გულრიფშის რაიონ სოფელ ვარჩეში, 1923 წლის 10 თებერვალს დაბადებულს ჯერ კიდევ მცირეწლოვანს გარდაეცვალა დედა და თავის ოჯახთან ერთად იწვნია იმ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის სუსხი და განსაცდელი, რომელიც თან ახლდა საქართველოს გასაბჭოებას, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხებას,პოლიტიკურ რეპრესიებს, განკულაკებას და კოლექტივიზაციას.

18 წლის იყო ბატონი ტარიელი, როდესაც 1942 წლის 22 ივნისს დაიწყო ომი. საყოველთაო მობილიზაცია ომის პირველსავე დღეს გამოცხადდა. პატარა საქართველოდან 700 ათასზე მეტი ადამიანი იქნა მოქმედ ჯარებში გაწვეული.

ბატონი ტარიელი იხსენებს: ,,მახსენდება ჩემი სოფელი ვარჩე. ქალები, ბავშვები ტირილით მირბოდნენ კოლმეურნეობის კანტორისკენ. კაცები ერთმანეთს ეუბნებოდნენ: გაიგეთ ომი დაიწყო, დიდი ომიო. იქვე ეწერებოდნენ, მიდიოდნენ კომისარიატებში, შემდეგ კი - ფრონტზე".

ფრონტზე წასულთაგან თითქმის ნახევარი გმირულად დაიღუპა.

1942 წელს გერმანელები სრულად დაეუფლნენ ჩრდილოეთ კავკასიას და სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს საქართველოს. სწორედ მაშინ ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა ბატონმა ტარიელმა და ომის ბოლო წუთებამდე აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში კავკასიის დაცვისას, ბელორუსიის პირველ ფრონტზე,პოლონეთის განთავისუფლებისათვის, ოდესისი პლაცდარმის გარღვევისას, ბერლინის აღებისას. ბატონი ტარიელი იხსენებს: ,,1945 წლის 22 აპრილის ღამეს მარშალმა გიორგი ჟუკოვმა გვამცნო იოსებ სტალინის ბრძანება: - რადაც უნდა დაგიჯდეთ, ბერლინი უნდა აიღოთო..." 23 აპრილს დილით 5 საათზე გადავედით იერიშზე, ქლაქ კიუსტრინიდან ბერლინამდე 45 კილომეტრი ბრძოლით გავიარეთ, ავიღეთ რაისტაგი. ქართველმა ვაჟკაცმა მელიტონ ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ეგოროვმა დამარცხებული ფაშიზმის ბუნაგზე - რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს, მე კი რაიხსტაგის კედელზე ჩემი ხელით მივაწერე - ,,ჩვენ გავიმარჯვეთ, ტარიელ დემურია, ვარჩე, აფხაზეთი, საქართველო".

ომის დამთავრების შემდეგ კიდევ ერთი წელი დაჰყო გერმანიაში და 1946 წელს დაბრუნდა მშობლიურ ოჯახში. ბატონიტარიელი იხსენებს: ,,თითქოს, ზღაპარში მეგონა თავი, სახლში რომ ვბრუნდებოდი. რამდენჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში. 5-ჯერ დავიჭერი ბრძოლებში, მათ შორის 2-ჯერ მძიმედ და ახლა გამარჯვებული ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ვბრუნდებოდი სამშობლოში.ჩემი ეშელონი სოფელ დრანდაში გაჩერდა და ვაჩემდე 7კმ. ფეხით ვიარე უკუნით ღამეში. შუადამე გადასული იყო, როცა საკუთარ სახლ-კარს მივადექი და მოხუც მამას ვერაფრით დავაჯერე, რომ ეს მისი შვილი ჩამოვედი ომიდან ცოცხალი. მხოლოდ მოსული მეზობლების თქმაზე დაიჯერა ბატონმა ყარამანმა, რომ ეს მისი შვილი ტარიელი ვიყავი და მუხლებზე შემომეხვია ტირილით".

მერე იყო ცხოვრების ფერხულში ჩაბმა,ქვეყნის ჭირვარამის გაზიარება, ერთი ნახვით შეყვარება და კოლხთა წესით, მაყრიონით პატარძლის მოყვანა.

1949 წელს შეუღლდნენ ტარიელ ყარამანის ძე და ქალბატონი თინა ავქსენტის ასული სიჭინავა, სოფელ გამარჯვებიდან. შვიდი შვილი-ვაჟი, ზაირა, ნორა, მურმანი,ზურაბი, დემური, ქეთევანი გააჩინეს და აღზარდეს მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა. 59 წელი იცხოვრეს ერთად ქალბატონმა თინიკომ და ბატონმა ტარიელმა: ბატონი ტარიელი თვალცრემლიანი ამბობს: ,,საქართველოს მოუშუშებელმა ტკივილმა, აფხაზეთის ტრაგედიამ, ჩემი და ჩემი შვილების სახლ-კარის დაკარგვამ ატკინა გული და სიკვდილმა ნაადრევად წამართვა ჩემი თინიკოს თავი. მე, თინიკომ, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა მხოლოდ სოხუმის დაცემის მერე 1993 წლის 27 სექტემბერს დავტოვეთ ჩემი მშობლიური სახლ-კარი და სოფელი, და ამ ლამაზ, კოხტა ქალაქში დავდეთ ბინა. მაგრამ მჯერა სულ მალე აღდგება ქართველთა და აფხაზთა ისტორიული ძმობა, ჩვენ ქართველები დირსეულად დავბრუნდებით ენგურს გაღმა საქართველოში - აფხაზეთში. მე და ჩემი შვილები ამოვასვენებთ საფლავებიდან ჩემს თინიკოს და მის გაზრდილ შვილიშვილს - ჩვენს კახას, ენგურს გადაღმა გადავასენებთ და ჩემი მამა-პაპის გვერდით დავკრძალავთ".

უფალი შეისმენს ბატონი ტარიელის სურვილს, ჩვენ კი, მის უახლოეს ადამიანებს სიტყვა გვაქვს ბატონი ტარიელისგან მიღებული, რომ დაბადებიდან 100 წლის იუბილეზეც ასე ყოჩაღად, მხნედ და შემართებულად იქნება.

წელთა სიმრავლეს, ოცნებათა ახდენას, დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილო ვაჟკაცო!

პაატა გეგენავა

,,ფაზისის" აკადემიის წევრი

ქრისტეს შობიდან 2017 წელი

სურწყუნისის 10

ქალაქი ფოთი

იქ,სადაც მართალნი განისვენებენ...

გენბენი ჩოკორაიას გახსენება

ყველაზე რთული მონატრებაა, მონატრება რომელსაც ვერეფერს შველი. სიცოცხლე ღვთისგან ნაბოძები სასწაულია და მას გაფრთხილება სჭირდება. მამამ სიცოცხლე სიკეთით განვლო და სიკეთით იცხოვრა ამ ცოდვა-მადლიან წუთისოფელში. დარდიც დიდი ჰქონდა და სიხარულსაც ისე აღიქვამდა, როგორც ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი. სინდისით და პატიოსნებით იცხოვრა ამ წუთისოფელში და ვალმოხდილიც წავიდა. დაგვიტოვა სიკეთის, სიყვარულის მთესველი და კარგი, პატიოსანი, ალალ-მართალი კაცის სახელი. ჩვენ ტკივილით და ცრემლით ვიხსენებთ და გული დარდით გვაქვს სავსე. მამა შეუცვლელია და ახლა ამ გადმოსახედიდან ვფიქრობთ, რომ უფრო მეტად უნდა გვყვარებოდა, უფრო უნდა გავფრთხილებოდით, სიყვარული არ აკლდა, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ დაგვარწმუნა, რომ სიცოცხლის ყოველი წუთი, წამი გასაფრთხილებელი და დასაფასებელია. მოვეფეროთ და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, რადგანაც ღვთისგან ნაბოძებ ამ სასწაულს სასწაულებრივად სჭირდება გაფრთხილება, მისათუთება, აზრიანად ცხოვრება. მამამ სიყვარული დაგვიტოვა და წავიდა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, იქ, სადაც უსასრულობაა და ახლა ამ მონატრებით ვსწავლობთ ცხოვრებას.

შვილებისაგან.
2017 წელი
თებერვალი

შვილები: იური, მანანა, ელიკო კიბალნიკოვები; შვილიშვილები: ნიკა, ლექსო კიბალნიკოვები; ნათელა, სოფიკო შონვაძეები; ქეთინო, ზურაბი გუნიები; რძალი: ლიანა რეკვავა; სიძე: ანზორ შონვაძე; ძმა: ივანე პატარაია; ძმისშვილები: ნუგზარი, თორნიკე, ბესიკი პატარაიები ოჯახებით; დისშვილი: ლიანა როყვა ოჯახით; მაზლიშვილები: ვალერი, დოდო კიბალნიკოვები; შვილთაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადეჟდა ივანეს ასული პატარაია

პანაშვიდი 1 მარტს, დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 მარტს, 15 საათზე, ნინოშვილის უბნის სასაფლაოზე. გამოსვენება კოსტავას ქუჩა №10/4

ქალაქ ფოთის ვეტერანთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის ვეტერანთან გათანაბრებული, საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ღირსების ორდენოსანი, ფოთის საპატიო მოქალაქე

ნადეჟდა ივანეს ასული პატარაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძმა ივანე პატარაია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ფოთის საპატიო მოქალაქე

ნადეჟდა ივანეს ასული პატარაია

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა...

ნადეჟდა (ნადია) პატარაიას გამოსათხოვარი

გარდაიცვალა დიდი რომანტიკოსი ქალბატონი, ოჯახზე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული 97 წლის ქალბატონი, ღირსების ორდენოსანი, ფოთის საპატიო მოქალაქე, დამსახურებული ბიბლიოთეკარი ნადეჟდა (ნადია) ივანეს ასული პატარაია.

მის რომანტიკულობაზე მეტყველებს მისი პირადი საქადალდე, რომელშიც ყველაფერი ქრონოლოგიურად, მძივებივით და სიყვარულით არის აკინძული.

ესაა მატიანე ქართული რომანტიკოსი ქალისა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და ღმერთს ევედრებოდა: ,,ღმერთო არ წამიყვანო ამ ქვეყნიდან ისე, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო არ დავიბრუნოთ, საქართველოს გაერთიანებას გავედრებ ღმერთო, ქართველების და საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ერთად ყოფნას გავედრებ ღმერთო". ეს იყო მისი ყოველდღიური ლოცვა და მისი ოცნება.

სამწუხაროდ, მან თან გაიყოლია ეს ოცნება, მაგრამ იმედია მისი შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან საქართველოს გამთლიანებას.

ნადეჟდა პატარაია დაიბადა 1920 წელს, ფოთში. აქვე დაამთავრა 1 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. 1940 წელს გადაყავთ პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე. აქედან მოყოლებული მას არ მიუტოვებია არჩეული პროფესია. 1968 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის წოდება. 2000 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, ხოლო 2005 წელს მიენიჭა ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქის წოდება.

თავისი მუშაობა მანვე მშვენივრად შეაფასა და აკი ერთგან წერს კიდეც: ,,მთელი ჩემი ცხოვრება ბიბლიოთეკაში ვიმუშავე, ჯერ საქალაქო ბიბლიოთეკაში, შემდეგ საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში".

1991 წელს კომუნისტური პარტიის გაუქმებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკა გადაეცა ქალაქის პრეფექტურას, შემდეგ ქალაქის გამგეობას და ბოლოს მერიას, სადაც გადაყავდათ ქალბატონი ნადეჟდა. იმ დროს ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 37 ათას 618 წიგნსა და ბროშურას. დებულობდა 60 დასახელების პერიოდულ გამოცემას, ამას ყველას დამუშავება უნდოდა, თავისი ადგილის მიჩნება. ნადეჟდა პატარაია ასე იგონებდა იმ წლებს: ,,ისე შევეჩვიე წიგნებსა და გაზეთებს, რომ გარეკანიდან ვგრძნობდი თუ რა ეწერა შიგ. მე ბიბლიოთეკის მტვერიც კი მიყვარსო"-ამბობდა ის.

აი, ასეთი იყო მისი დამოკიდებულება არჩეული საქმისადმი. მოჭარბებულად გააჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა. სწორედ ამან მოუტანა მას დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება.

ნადეჟდა პატარაია ფოთის მემატიანეც იყო. მის თვალწინ გაიარა მთელმა ეპოქამ, პრეფექტურამ, გამგეობამ, მერიამ. იგი ყველა ამ ცვლილების მომსწრე და თვითმხილველი იყო. მას სჯეროდა, რომ ასრულდებოდა ნიკოლაძისეული ოცნება და ფოთი გახდებოდა ევრუპული ტიპის უმშვენიერესი ქალაქი. სამსახურითა და საზოგადოებრივი საქმიანობით გართული ქალბატონი გვიან მოეკიდა ოჯახს. მისი მეუღლე იყო ქალაქში ცნობილი პიროვნება, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ნიკოლოზ კიბალნიკოვი, რომელიც 2000 წელს გარდაიცვალა. ქალბატონმა ნადეჟდამ ნამდვილი დედობა გაუწია მეუღლის სამ შვილს. სითბო და სიყვარული არ მოუკლია მათთვის. ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდა. სამივეს სათანადო განათლება მიაღებინა და ცხოვრების სწორ გზაზე დააყენა. ბავშვებმაც დაუფასეს ამაგი. საკუთარ დედასავით შეიყვარეს.

სამაგალითო იყო ნადეჟდა პატარაიას ცხოვრება თავისი ქცევით, ზრდილობით, რომანტიკული სულით,რომელსაც უხვად გადასცემდა შთამომავლობას.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, ამაგდარი, დიდი სიყვარულის მატარებელი ქალბატონი ნადეჟდა ივანეს ასული პატარაია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ფოთის საზოგადოება

უიღბლო ქალი

სოფიო ქოიავას ხსოვნას

მაშინ, როცა თითქოს ყველაფერი გაუფასურებულია, მათ შორის ზნეობრივი ღირებულებები-ეთიკა, სამშობლო და სიყვარული, დაუჯერებელია თავგანწირვა სიყვარულისათვის. ეს იმ დროს, როცა ქალები თავისუფლებით ამაყობენ და კაცების საჭირობა ლამისაა ატრიბუტი გახდეს. ნუთუ კიდევ არიან ასეთი ქალები, რომელთაც ღალატისათვის შეუძლიათ თავი დასაჯონ? ამ სუსტმა არსებამ შიშის ზღვარს გადააბიჯა, გაბედა და ომი გამოუცხადა სიკვდილს, თითქოს ეს გზა არ ყოფილიყო სახიფათო, თითქოს ,,სიკვდილის გზა არა არის ვარდისფერ გზის გარდა"... უკან დარჩა სიყვარული, ყვავილები, ძვირფასი სიტყვები და ასე მოულოდნელად დასრულდა ერთი სიყვარულის ტრაგიკული ისტორია. იქნებ გაფრთხილება სხვებისთვის, ვისაც ასეთი სიყვარული შეუძლია. განსაკუთრებით შემზარავია მშობლებისთვის ასეთი მოულოდნელობა, ასეთი გამეტება, არადა, იყვნენ მისი ბედნიერების მოლოდინში.

,,დედის ცრემლებმა
თებერვლის თვეში,
ზარივით შეძრა ჭადარა მთები,
კივილით ანგრევს ქვეყანას
დედა,
სად არის შვილი, სად არის
შვება?"...

მომავალი დედა, კარგი მოქალაქე და მეგობარი დააკლდა ქალაქს, ოჯახს და ახლობლებს. გაზაფხულის პირველ ამოსუნთქვას გაჰყვა მისი სული,

,,რაც მიწის იყო მიწაზე დარჩა,
და რაც ცის იყო წავიდა
ცისკენ"...

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს უიღბლო ქალის დიდებულ სულს, რომელმაც თავი გასწირა სიყვარულისთვის და ხელახლა დაიბადა ზეციურ სასუფეველში.

ხსოვნა *,,ჰა სოფსაჰი დასჰიდა ნლები"...*

ჯონდი ჯოჯუა

84 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი მეზღვაური, შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ღირსების ორდენოსანი, ფოთის საპატიო მოქალაქე ჯონდი ერასტის ძე ჯოჯუა.

ჯონდი ჯოჯუას ბიოგრაფია აღსავსეა რომანტიკული და ლეგენდარული წიაღსვლებით. თითქმის 60 წელი დაჰყო მან ზღვასა და ოკეანეში. სად არ უწევდა მას ნაოსნობა. ბარენციის, ნორვეგიის, ჩრდილოეთისა და გრელანდიის ზღვებში თუ ატლანტიკისა და ინდოეთის ოკიანეში, აფრიკის სანაპიროსა თუ უფრო სამხრეთით ანტარქტიდის მისადგომებთან. წყნარ ოკეანეში პერუსა და ჩილეს სანაპიროებთან.

1934 წლის 8 აგვისტოს ფოთელი მეზღვაურის, ბოცმანის ერასტო ჯოჯუას ოჯახში დაიბადა ვაჟიშვილი, რომელსაც განგებამ მამის მსგავსად მეზღვაურობა დაანათლა.

ზღვისპირა ფოთში გაზრდილმა ყმაწვილმა 1957 წელს ბათუმის საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა გემწამყვანის სპეციალობით. სწორედ ამ დროს საქართველოში თევზსაჭერი ფლოტის შექმნა იგეგმებოდა და ახალგაზრდა ზღვაოსანი გაგზავნეს მურმანსკში სასწავლებლად. იმ დროს ჩრდილოეთის ფლოტს ჩვენი თანამემამულე პლატონ საპანაძე ხელმძღვანელობდა. იქ, ჩრდილოეთის უმკაცრეს პირობებში მიიღო ჯონდი ჯოჯუამ დიდი პრაქტიკა და ნამდვილი მეზღვაურული წრთობა. იქ გაიარა საფეხურები მესამე რანგის შტურმანიდან კაპიტნობამდე. 1962 წელს სამშობლოში დაბრუნებულმა, უკვე გამოცდილმა ზღვაოსანმა მონაწილეობა მიიღო ფოთის საოკეანო თევზწერის სამმართველოს შექმნაში.

საქართველოში მისი პირველი გემი გერმანიაში აგებული ტრაულერი ,,შოთა რუსთაველი" იყო, რომელსაც იმ დროს, უკვე სახელმოხვეჭილი კაპიტანი აბესალომ ზენაიშვილი გახლდათ. სწორედ მის უფროს თანაშემწედ დაინიშნა ბატონი ჯონდი ჯოჯუა. სულ მალე, 1964 წელს, სრულიად ახალგაზრდა, 28 წლის ჯონდი ჯოჯუა უკვე ტრაულერ ,,ფოთის" კაპიტან-დირექტორად დაინიშნა. 1967 წელს გერმანიაში მიიღო მან ახალი საოკეანო ტრაულერი ,,სალხინო", რომლის კაპიტანიც გახლდათ წლების მანძილზე. შემდეგ იყო ხანგრძლივი რეისები ტრაულერებზე ,,საქართველო"(1972 წ.), ,,იმერეთი" (1981 წ.) და ,,ბახალეთი" (1983 წ). პარალელურად ჯონდი ჯოჯუა სწავლას აგრძელებს მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტში, თევზჭერის დაგეგმარების ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1983 წელს ჯონდი ჯოჯუა ნაპირს უბრუნდება და მუშაობას იწყებს თევზჭერის შავი ზღვის ინსპექციაში. 1993 წელს კი იგი მშობლიური ფოთის ნავსადგურის კაპიტნის მოადგილის მოვალეობას ასრულებს 2006 წლამდე, დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე.

ბატონი ჯონდი ჯოჯუა პენსიაზე გასვლის შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და საკუთარ მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდებს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის ფოთის ფილიალში.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, საზღვაო საქმის უბადლო მცოდნე, ქართულ ზღვაოსანთა ძველი გვარდიის თვალსაჩინო და ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, რომლის საქმენი და ღვაწლი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული ზღვაოსნობის ისტორიაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ფოთის საზოგადოება

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში" E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა